საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. კვირა 6 აპრილი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

ფასი ამ დროს: 1 თვით 18 მანეთი ცალკე ნომერი ეღირება 75 კაპ. განცხადებების ფასი: როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 25 მან. [illegible] განცხადება უნდა მოიტანონ [illegible] არა უგვიანეს დღისას 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. [illegible] ხელნაწერთ რედაქცია არ ინახავს; ავტორებს [illegible] [illegible].

[illegible] № 199 [illegible] „[illegible]“ რედაქცია. [illegible] 10—11 საათამდე. [illegible]

ტელეფონი 16—62.

№ 78 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 78

გულდაწყვეტილი მშობლები **ნოე ნიკოლოზის ძე და ინა ივანეს ასული, ბებია ქრისტინე, და ასმათი ჟორდანიები** აუწყებენ მეგობრებს, ნაცნობთ და ნათესავთ უდროოდ გარდაცვალებას საყვარელი ვაჟის

ანდრეიკა ჟორდანიას

გამოსვენება მოხდება ბინიდან (ერმოლოვის ქ. № 9) შაბათს ოთხ საათზე ვოკზალზე, საიდანაც წაასვენებენ იმავე საღამოს ქ. ლანჩხუთში. დაკრძალვა ლანჩხუთის წმ. გიორგის ეკლესიაზე სამშაბათს, 8 აპრილს 12 საათზე. პანაშვიდი ბინაზე პარასკევს საღამოს 6 საათზე. (3—2)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მისი [illegible] და [illegible] შვილი [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მწუხარებით

მინადორა პავლეს ასულის გორგილაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ბინაზე (ჩერქეზოვის ქ. № 32), ორშაბათს, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 8 აპრილს წმ. ნინოს სასაფლაოზე, გამოსვენება თავის ბინიდან დილის 1 საათზე. (2—2)

უზომოთ დამწუხრებული [illegible] თავის შვილებით [illegible] და [illegible] აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მინადორა გორგილაძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ბინაზე (ჩერქეზოვის ქ. № 32) ორშაბათს, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 8 აპრილს წმინდა ნინოს სასაფლაოზე, გამოსვენება თავის ბინიდან ჩერქეზოვის ქ. № 32. 3 საათზე.

[illegible] შვილებით აუწყებს ამხანაგებს და ნათესავთ, რომ დაუვიწყარ ძვირფას მეუღლის [illegible]

გიორგი ზაალის ძის მაჩაბლის

წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას 6 აპრილს [illegible] წმინდა ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. პანაშვიდი იქნება საღამოს 1 საათზე. (2—2)

[illegible] და ნინო [illegible] გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 6 აპრილს [illegible] ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი [illegible]

ნუ-ლოზ დავითის ძე ხალიფოვის

სულის მოსახსენებლად. [illegible] (2—2)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა [illegible], ძმები:—[illegible], და [illegible], დები: [illegible] და თამარ, რძლები: მარო, [illegible] და [illegible], სიძეები: [illegible] და [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 6 აპრილს დილის თორმეტ საათზე [illegible] წმინდა ნინოს სასაფლაოზე დანიშნულია წლის თავის წირვა და პანაშვიდი, ტრაგიკულად გარდაცვალებულის, კომერციული სასწავლებლის მოწაფის

მიშა სილევანის ძე თალაკვაძის

სულის მოსახსენებლად.

გულდაწყვეტილი მშობლები [illegible] თევდორაშვილი, [illegible] ძე თევდორაშვილი, რძალი [illegible] თევდორაშვილები, დები [illegible] და [illegible] აუწყებენ ყველა მეგობრებს, ნაცნობთ და ნათესავთ უდროოდ გარდაცვალებას საყვარელ შვილის, ძმისა და [illegible] გარდაცვალებას

კოლა თევდორაშვილისას

გამოსვენება მოხდება ბინიდან ([illegible] ქ. № 21), კვირას დილის 7 საათზე ნავთლუღის სადგურზე. წაასვენებენ ს. [illegible], სადაც მოხდება დაკრძალვა.

ღრმად დამწუხრებულნი: ალექსანდრა მიხეილის ასული [illegible] შვილებითურთ: დიმიტრი, [illegible], [illegible], [illegible], [illegible], აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ძვირფასი მეუღლისა, მამისა, [illegible]

ალექსი (რომანოზ) ესეს ძე ხუნდაძის

წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ორშაბათს 7 აპრილს ქ. თფილისში [illegible] ეკლესიაში.

ღრმად დამწუხრებული და [illegible] მშობლები ზაქარია [illegible] ასული ნიჟარაძენი [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ [illegible]

დიმიტრი (ტიტე) ზაქარიას ძე ნიჟარაძის

[illegible] საღამოს 6 საათზე [illegible] № 9. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას, 6 აპრილს წმ. ნინოს სასაფლაოზე.

---

10 აპრილს, 12 საათზე, **ვაშნარის ძმათა სასაფლაოზე, ოსმალეთთან ომის დროს დახოცილ მეომართა** ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებენ საზოგადოებას **ოზურგეთის ერობის გამგეობა და ძეგლის ამგები კომიტეტი** (?—1)

გულდაწყვეტილი შვილები: [illegible], რძლები: [illegible] და [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულ მათი დედის

კესარია ზურაბის ასულის თავუკაშვილის

ორმოცი დღის წირვა გადახდილი იქნება ორშაბათს 7 აპრილს დილის 9 ს. [illegible], სადაც პანაშვიდი გადახდილი [illegible].

[illegible] კოლექტივი [illegible] აუწყებს თავის წევრებს, რომ დღეს 12 საათზე [illegible] სასაფლაოზე, გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ამ გარდაცვალებული [illegible] წევრის

იოსებ ბერუჩაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად

ამიერ-კავკასიის კონფერენცია

მახლობელ დღეებში გაიხსნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია. ჩვენ რამდენიმე თვის წინეთ [illegible] კონფერენციისათვის. ჩვენ ვაცოდით, დარწმუნებული ვიყავით, რომ მხოლოდ ამ მოლაპარაკებით შეიძლებოდა სადაო კითხვების გამორკვევა და მშვიდობიანათ მათი გადაჭრელი გზის გამოძებნა. სამწუხაროთ, იმათ, ვინც ბევრს ყვიროდა სიტყვით სოლიდარობაზე, ეს ჩვენი ხმა უქმად დასტოვეს და ერთხანს კიდევ ადამიანის გონების მაგიერ—თოფი და ზარბაზანი აალაპარაკეს.

ახლა ამ ხანას თითქო ბოლო უნდა მოეღოს, თითქოს ყველამ შეიგნო, რომ ინტერესთა სოლიდარობა უნდა იქნეს წინ წამოყენებული და არა ეროვნული და სახელმწიფოთა ბრძოლა იარაღით, ხმლით, თოფ ზარბაზნით.

მაგრამ არც პოლიტიკის ასე უეცრად შეცვლაა შესაძლებელი. და ჩვენს [illegible], კიდევ დიდი ხანი გაივლის სანამ მოხდებოდეს სრული შეთანხმება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების და მათ შორის ყველა სადაო კითხვების გადაჭრა. ეს სამწუხაროა, მაგრამ ასეა.

ჩვენ, როცა კონფერენციის მოწვევის ინიციატივას ვიღებდით თავის თავზე, არ ვფიქრობდით, რომ დაუყოვნებლივ მივაღწევდით ყველა იმას, რაც საჭიროა. მაგრამ ერთის იმედი მაინც გვქონდა, რომ გადადგმული იქნება პირველი ნაბიჯი, რომელიც გადალახავს [illegible] პირველი სიმწვავით შექმნილ ურთიერთის გაუგებრობას, მტრულ განწყობილებას, და შესაძლებელს გახდის შემდეგისთვის სადაო საკითხებისათვის მშვიდობიანი გადაჭრისათვის გზის გაკაფვას.

მთავარი საკითხი ამ რესპუბლიკებისათვის არის ძირითადი ხაზი მათი პოლიტიკისა: ესაა ხაზი ჩრდილოეთის და სამხრეთის საფრთხისაგან ერთნაირათ თავის დაცვისა.

ამ ხაზის უქონლობამ გამოიწვია წინეთ განსაკუთრის მომენტში ამიერ-კავკასიის სწორეთ იმან, რომ ერთნი რუსეთს ეტმასნებოდნენ, მეორენი ოსმალეთს და ამ რიგათ ბრძოლა შემოსეულ მტერთან შეუძლებელი იყო.

[illegible] საზღვრების [illegible] შესაფერი ხაზი მოქმედებისა, რომ [illegible] სამწუხარო ამბების მეთოდები ერთხელ და სამუდამოთ წარსულს ჩაბარებოდა.

ამ მთავარ კითხვებს, როგორც სჩანს, ვერც მახლობელი კონფერენცია გადაჭრის. იქ დასმული ჯერ ჯერობით მხოლოდ ეკონომიური შეთანხმების, ბაჟების, ფინანსების საკითხები.

ჩვენ დიდის თანაგრძნობით ვეპყრობით ამ კითხვების მოწესრიგებას. მათ თავის თავათაც აქვთ მნიშვნელობა, და მათ შეთანხმებას ამ საკითხებში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ყველა რესპუბლიკებისთვის.

მაგრამ მას აქვს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მომავლისათვის. ეს პირველი ნაბიჯი იქნება ამ სახელმწიფოთა მოლაპარაკების და მისი დადებითად დათავება [illegible] შემდეგში უფრო რთული და არსებითი საკითხების დასმას [illegible] წესრიგში, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა დღესვე იმ მთავარი კითხვების დაყენება, რომელზედაც ზევით ვილაპარაკეთ. ჯერ არ მომწიფებულა პირობები მათ გადასაჭრელათ. ჯერ არ ჩამოყალიბებულა თვით შინაგანი ცხოვრება ამიერ კავკასიის, არ დამდგარან იგინი იმდენათ საკუთარ ფეხზე, რომ გარეშე [illegible] თავი დააღწიონ, სხვის მკლავზე დაყრდნობის მაგიერ საკუთარი ფეხით სიარული არჩიონ.

და სანამ ეს არ მოხდება, დიდი და მნიშვნელოვანი პრობლემა არ გადაიჭრება. ჩვენ გვგონია, ფინანსიური და ეკონომიური საკითხების მოგვარება, ერთი მხრით გაამაგრებს შინაურობაში ამ რესპუბლიკებს, მეორე მხრით—შეამცირებს მათ ეჭვიანობას დამოუკიდებლობისადმი და ამით გახდება შესაძლო მომავალ უფრო რთულ კონფერენციების. ამის გამო ჩვენ დიდის სიამოვნებით ვეგებებით ამ პირველ ნაბიჯს.

პრესა

„აშხატავორი ძაინ“ (№ 73) ეხება მომავალ ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციას და სხვათა შორის სწერს:

„ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკები შეთანხმებულან თფილისში გამართონ საერთო კონფერენცია. მიზანი ამ კონფერენციისა ის არის, რომ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკები, როგორც ჯერ სუსტი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, დაუყრდნონ ერთმანეთს. არის აგრეთვე მრავალი საერთო და მეორე ხარისხის საკითხები, რომლებიც [illegible] ერთმანეთისაგან გაყოფის დროს, როგორც მაგალითად,—საზღვრების გამორკვევა, საერთო სახელმწიფოებრივი ქონების გაყოფა და სხვა,—ყველა ეს მოითხოვს აშკარად განსაზღვრას უფლების და მოვალეობათა [illegible] სახელმწიფოთაგან.

„ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ის კონფერენცია, რომელიც უნდა გაიხსნას აპრ. 25-ში, რომ უფრო წინ გახსნილიყო ესე იგი, წარსულ წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში, შეიძლება არ მომხდარიყო სომეხ-ქართველთა ომი, შეიძლება არ [illegible] სასირცხვილო ექსპერიმენტებს [illegible] დევნისა, შეიძლება დროით მოწესრიგებულიყო ტრანსპორტის საკითხი საქართველოს და სომხეთს შორის და პური მიეღო დამშეულ ქვეყანას, შეიძლება მოწესრიგებულიყო აგრეთვე ფოსტის, ტელეგრაფის, მიმოსვლის, ფულის [illegible] საკითხები, რომლებიც ეხლა [illegible] არა მარტო სომხეთს, არამედ—სხვა რესპუბლიკებსაც, იმიტომ, რომ ჯერ ფაქტიურათ პრივილეგიურ მდგომარეობაში არ იმყოფებიან და იმდენათ [illegible] დახმარება, როგორც სომხეთს და სომხობას.

„[illegible] ეს იმედს გვაძლევს, რომ ამ ხანად ამიერ კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლები შეიკრიბებიან იმ შეგნებით, რომ მათ წინ დასმული საკითხები სწრაფი და გადაუდებელი არიან, ამიტომაც [illegible] მიიღონ [illegible] და [illegible] მდგომარეობის მოსპობით და ჩვენს რესპუბლიკებს შორის ნამდვილი და რეალური მეგობრობის ჩამოყალიბებით რა ფასადაც კი შეიძლება ეს“.

„აშხატავორი ძაინ“ სრულ სიმართლეს ამბობს: კონფერენცია, რომ დროზე მოწვეულიყო არც შეტაკება მოხდებოდა. [illegible] ერთი რამ ავიწყდება მას: კონფერენცია მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ რომ სომხეთის მთავრობა მართლა დაადგებოდა შესაძლებელ შერიგების გზას.

ჩვენი სურვილია, რომ კონფერენციის მონაწილეებმა მართლა გამოიჩინონ ერთმანეთისადმი საჭირო პატივისცემა, თორემ თავისთავად კონფერენციაზე დასწრება კიდევ არ იძლევა გარანტიას, რომ გაუგებრობას ადგილი არ ექნება.

დამფუძნებელი კრება

4 აპრილის სხდომა

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

კრებამ მიიღო საბოლოო რედაქცია წინა სხდომაზე მიღებულ კანონისა, დამფუძნებელ კრების წევრობასთან ზოგიერთ თანამდებობათა შეუთავსებლობის შესახებ.

ახალციხის ამბების გამოსარკვევად გაგზავნილ კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. [illegible] ანჯაფარიძე

დამფუძნებელ კრების ბ-ნნო წევრნო! მთავარი მიზეზი ამ ტრაგედიისა, რომელიც დატრიალდა ახალციხის მაზრაში ამ წლის იანვრის და თებერვლის თვეებში, არის [illegible], ან უკეთ რომ ვთქვათ, პანთურქისტული მოძრაობა; ეს მოძრაობა შორიდან მომდინარეობს და მისი ხელმძღვანელები იყვნენ ერთის მხრით ოსმალეთის აგენტები, მეორე მხრით ადერბეიჯანიდან ჩამოსული [illegible] და მესამე მხრით ადგილობრივი გადაგვარებული ელემენტები. ოსმალეთი საქართველოს ისტორიული მტერია. მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ისტორია არის განუწყვეტელი ბრძოლა ოსმალეთთან თავის ეროვნულ სახის და თავისუფლების დასაცავად. ოსმალეთს თავის დანიშნულებათ მიაჩნია ქართველი ერის განადგურება, ან სრული მოსპობა მისი, ან გადაგვარება. ამ ბრძოლის უკანასკნელი გამოძახილია ახალციხის ამბები. ოსმალეთი არასოდეს არ ურიგდებოდა ბათუმის ოლქის და ახალციხე ახალქალაქის მაზრების დაკარგვას და მისი ემისრები რუსეთის [illegible] დროსაც ფარულად დაძრწოდნენ ამ ადგილებში, ეწეოდნენ ენერგიულ აგიტაციას და აგონებდნენ ადგილობრივ ხალხს, რომ მას არავითარი საერთო არ აქვს საქართველოსთან, რომ ქართველი ქრისტიანი მტერია მაჰმადიან ქართველის.

ოსმალეთის პოლიტიკას სავსებით ამჟღავნებს ტრაპიზონის და ბათუმის კონფერენციები, როდესაც ოსმალეთი ერთის მხრივ თითქოს [illegible] მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩვენთან და მეორეს მხრით კი სასწრაფოდ ემზადებოდა საქართველოს საუკეთესო ადგილების დასაპყრობად. იგი არ მოერიდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დარღვევასაც და დაიპყრა ახალციხის და ახალქალაქის მაზრები. ხოლო როდესაც მსოფლიო ომის მიმდინარეობა შეიცვალა და ოსმალეთი იძულებული გახდა დაეცალა მესხეთ-ჯავახეთი, იგი ყოველ ღონეს ხმარობდა ადგილობრივ შექმნა საქართველოს საწინააღმდეგო ძალა: აწყობდა მთავრობის მსგავს ორგანიზაციას, ურიგებდა ხალხს ფულს და იარაღს და აიმედებდა იმით, რომ მე [illegible] და ყოველთვის მოგეშველებით ჩემის ჯარითო.

საუკეთესო დამხმარე და აღმასრულებელი ოსმალეთის მისწრაფებისა ახალციხის მაზრაში და საერთოდ სამუსულმანო საქართველოში იყვნენ ადერბეიჯანელი და საზოგადოთ კავკასიელი არა-ქართველი მუსულმანები, რომელთათვის ერთად ერთი შემაერთებელი ელემენტი იყო სარწმუნოება და ამ ნიადაგზე ფიქრობდნენ მთელი კავკასიის მუსულმანთა შეკავშირებას ერთ პოლიტიკურ სხეულში. ჯერ კიდევ [illegible] მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების რჩეულები ექიმ სულთანოვის მეთაურობით გადიოდნენ ბათუმის მხარეში და შემდეგ ახალციხის მაზრაშიაც და ქველმოქმედების სახით პოლიტიკურ აგიტაციას ეწეოდნენ პანთურქისტულ [illegible]. ახალციხის მაზრაში [illegible] მოღვაწეობის მთავარი ხელმძღვანელები იყვნენ მაზრის უფროსები [illegible] და [illegible]. ისინი ფანატიკური გატაცებით ებრძოდნენ [illegible] ქართულ [illegible] ადგილობრივ და [illegible] მუსულმანობას ქართველების სასტიკად. აშკარად ლაპარაკობდნენ, ქრისტიანმა ქართველებმა რომ 10—15 წლის განმავლობაში კულტურული მუშაობა აწარმოონ ახალციხის მაზრაში ადგილობრივი ხალხი კვლავ საქართველოს დაუბრუნდება და ეს კავკასიის მუსულმანების გაერთიანების საქმეს დიდად ავნებსო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მაშინდელი [illegible] პანისლამისტური თუ პანთურქისტული [illegible] და [illegible].

პანთურქისტულ მოძრაობას, როგორც მოგახსენეთ, ადგილობრივ გადაგვარებულ მუსულმან ქართველებშიაც ყავდა მიმხრეები. მათში თვალსაჩინო ადგილი [illegible] ყოფილ [illegible] წევრს [illegible], მუსულმანთა მწერლობაში [illegible] ([illegible]), [illegible] და სხვ. [illegible] გაერთიანება ბათუმ-ყარსის ოლქებისა და მესხეთ-ჯავახეთის და ან ოსმალეთის ფარგლებში ავტონომიის მოპოვება ან და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნა. 1917 წელს შემოდგომაზე ახალციხეში მოხდა კრება კავკასიის მუსულმანების, რომელზედაც დაესწრნენ წარმომადგენელნი [illegible], ადერბეიჯანის, ყარსის და სხვ. ამ კრების მონაწილენი დაბეჯითებით მოითხოვდნენ ყოველგვარ პოლიტიკური და კულტურული კავშირის შეწყვეტას საქართველოსთან.

ამ ყველა ზემო ჩამოთვლილმა გარემოებამ წარმოშვა საერთო ნიადაგი საქართველოს საწინააღმდეგო აჯანყებისათვის. ამას ხელს უწყობდა სხვა მიზეზებიც: 1) ჩვენმა მთავრობამ ვერ მოახერხა იმ მოკლე დროში, რომელიც მის ხელთ იყო, მტკიცე სახელმწიფოებრივ აპარატის მოწყობა ადგილობრივ; არ იყო სათანადოთ მოწყობილი ადმინისტრაცია არ არსებობდა სამართალი, ერთი მმართველის ადგილზე მხოლოდ მეორე ინიშნებოდა და ხალხი ვერ ხედავდა ერთ თანაბარ პოლიტიკას საქართველოს მთავრობის მოქმედებაში, ვერ ხედავდა გარკვეულ სახეს, ერთს მთავრობას. ხალხი [illegible] იყო [illegible] და მზად იყო დამორჩილებოდა ყველას, ვისაც რეალური ძალა ექნებოდა [illegible] მშვიდობიანობის დამყარების. მართალია ხალხის გული ერთ დროს ოსმალეთის მხარეზე იყო, მაგრამ ოსმალეთის ჯარის ყოფნამ რამოდენიმე თვის განმავლობაში და [illegible] იმდენად შეცვალა მისი [illegible] განწყობილება, რომ იგი მზად იყო [illegible] საქართველოს მმართველობა, მაგრამ სამწუხაროთ ეს მმართველობა მეტად სუსტი და მოუწყობელი იყო ამ ხანად ახალციხის მაზრაში. II) მეორე გარემოება, რომელმაც გაართულა მდგომარეობა იყო ჩვენი ჯარის [illegible] მაზრაში და [illegible]. III) და მესამე გარემოება, [illegible] ადგილობრივ [illegible], რომ საქართველოს ახალციხეში [illegible] აგრარულ [illegible] და [illegible] მათი

დღეს

ინგლისური პრესის ცნობით ინგლისის და ამერიკის წინადადებით რუსეთის ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა, რომელიც ფოშმა შეიმუშავა, ხაზგასმით უარყვეს.

საფრანგეთის პალატას სამხედრო მინისტრის უფროსმა მდივანმა აუწყა, რომ მთავრობას არ სურს რუსეთში საფრანგეთის ჯარის გაგზავნა. საფრანგეთი მოკავშირეებს დაეხმარება ბოლშევიკებთან ბრძოლაში მხოლოდ ფულით და [illegible].

უნგრეთის, უკრაინის და რუსეთის საბჭოთა მთავრობებს მოლაპარაკება აქვთ იმის შესახებ, რომ სამხედრო კავშირის შეკვრით ბოლშევიკური ჯგუფით გადააბან ერთმანეთს ევროპის ცენტრი და აღმოსავლეთი.

რურის მაღაროებში ახალი გაფიცვები დაიწყო. მთავრობამ საალყო წესები გამოაცხადა იმ ადგილებში და ჯარი გაგზავნა.

მოსალოდნელია დანციგის თავისუფალ ნავთსადგურად გამოცხადება. ამ ცნობამ გერმანიაში აუარებელი პროტესტი გამოიწვია. დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები დანციგში პროტესტს აცხადებენ გერმანიის ტერიტორიის პოლონეთზე გადაცემის გამო.

საბოლოოდ გამოირკვა, რომ ბელგია პირველად აინაზღაურებს ზარალს გერმანიიდან.

იყო საქმის ვითარება ახალციხის მაზრაში ამ წლის დამლევს, როდესაც სერგეი ბეგმა და მისმა თანამოაზრეებმა ამართეს აჯანყების დროშა.

საქართველოს საწინააღმდეგო გამოსვლები განზრახული იყო ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში, როდესაც ჩვენი ჯარი ჯერ კიდევ არ იყო შესული ახალციხის მაზრაში, მაგრამ გადაწყვეტილი კი იყო, რომ ოსმალოთ უნდა დაეცალა იგი. ოსმალთა ჯარის უფროსის წინადადებით ადგილობრივმა ბეგებმა შეადგინეს დროებითი სამმართველო ორგანიზაცია, რომელსაც ხალილ ბეგმა გადასცა ოსმალოდ გადაცმული ასკერი და ოფიცერი, იარაღი და სურსათი. ბეგები შეუთანხმდნენ ადგილობრივ სომხებს და დაჰპირდნენ დახმარებისათვის ახალქალაქის მაზრას, საიდანაც მუსულმანები გადმოასახლებდნენ ახალციხის მაზრაში. მათი შეერთებული დელეგაცია გაიგზავნა ახალქალაქში და ერევანში. ამ დელეგაციის მუსულმანთა ნაწილმა (მურთაზ ძე, ფაჰლავანდოვი, და მუსაკიევი) სტამბოლში მოკავშირეთა მისიებს დეპეშა გაუგზავნა, სადაც პროტესტს აცხადებდნენ იმის გამო, რომ მესხეთ-ჯავახეთი უერთდებოდა საქართველოს და მოითხოვდნენ ამ ადგილების გამოცალკევებას; ამ დეპეშის შედეგი გამოურკვეველია, მაგრამ ის აშკარაა, რომ ბეგებმა ვერ მოასწრეს მთელი ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, ხალხის მიმხრობა საქართველოს ჯარის შემოსვლამდე. 4 დეკემბერს ახალციხეში შევიდა ჩვენი ჯარი. დამოუკიდებელ საბჭოწყობის მოტრფიალენი და ოსმალეთის ორიენტაციის მომხრენი გარეგნულის მორჩილებით შეხვდნენ ჩვენ შესვლას მესხეთში. მიყუჩდნენ, მაგრამ უცდიდნენ შესაფერ გარემოებას. ასეთ გარემოებათ შეიქნა მათთვის ჩვენი ჯარის შემცირება და სახელმწიფოებრივ აპარატის მოუწყობლობა. ოსმალეთის ელემენტებმა, როგორც პოლიტიკური იდეებით გატაცებულებმა, ისე პირადის ანგარიშით შეთქმულებმა ფართოდ ისარგებლეს ამ გარემოებით და დაიწყეს ხალხში ქადაგება, რომ საქართველოს რესპუბლიკა უძლური სახელმწიფოა, მას არ შეუძლიან წესიერების დამყარება, არა ჰყავს ჯარი და სხვ. ამასთანავე მიმართავდნენ ძველ პროვოკაციას, რომ ქრისტიან ქართველებს სწადიათ მუსულმანების გაქრისტიანება, ახალგაზრდების ჯარში გაწვევა, ქრისტიანების ჩასახლება ახალციხის მაზრაში და სხვა. აგრეთვე რაზმავდნენ მომხრეებს, წრთვნიდნენ ოსმალოს ოფიცრებს და ჩაუშების დახმარებით. მათ „მთავარი ბანაკი" იყო ფოცხოვი და აქედან მიქონდათ გაბმული ქსელები ახალციხის მაზრის სხვა და სხვა კუთხეში. ხალხი, ადგილობრივი გლეხობა საქართველოს საწინააღმდეგო შეთქმულებას არ თანაგრძნობდა. შეთქმულებაში თუ იღებდენ მონაწილეობას, მხოლოდ ცალკე პირები. როდესაც ფოცხოვიდან მოხდა თავდასხმა ჩვენ ჯარზე და ჩვენი ჯარი იძულებული იყო უკან დაეხია, ფოცხოველებმა მუქარით მიიმხრეს ის სოფლის მკვიდრნი, რომელსაც ჩვენი ჯარი სტოვებდა. უმეტესი იყო ისეთი ელემენტი, რომელიც ცარცვა-გლეჯისათვის ემხრობოდა სერგეი ბეგს. ფოცხოვში სერგეი ბეგს კარგად მოწყობილი ჯარი ჰყავდა დაბანაკებული, რომელშიაც გარდა ადგილობრივ მცხოვრებთა, ერივნენ გადაცმული ოსმალოს ასკერები და ოფიცრები. ჩვენი მცირე რიცხოვანი ჯარისათვის მეტად საძნელო იყო გამკლავება, მით უფრო, რომ სერგეი ბეგის ჯარმა მარცხნივ მოუარა ჩვენ ჯარს სომხის სოფლებზე და ამ პირობებში ჩვენი ჯარისათვის საუკეთესო იყო უკან დახევა.

საუბედუროთ უნდა ითქვას, რომ ჯარის დახევა მოხდა მეტად აჩქარებულად და უწესოთ. ჩვენი ჯარის წამოსვლის შემდეგ ერთი დღის განმავლობაში ახალციხე უპატრონოთ დარჩა და საზიზღარი რბევა და ცარცვა გლეჯა მოხდა. მთელი სოფლები შეიარაღდა და არ დარჩა არც ერთი ქართველი ქრისტიანის ოჯახი გაუძარცველი. მეორე დღეს შემოვიდა სერგეი ბეგი თავის ჯარით და შეადგინა დროებითი კომისარიატი ახალციხის და ახალქალაქის მაზრისათვის, რომლებიც შედიოდნენ „სამხრეთ დასავლეთ კავკასიის ტერიტორიის" ფარგლებში. კომისარიატის შემადგენლობა იყო შემდეგი: კომისარიატის თავმჯდომარე—სერგეი ბეგ ათაბეგოვი, პრინც კობლიანსკი, მისი თანაშემწე და შინაგან საქმეთა კომისარი გომაშვილი; მთავარი მოსამართლე მურთაზა ბეგ ფაჰლავანდოვი, სურსათის — კარტაშოვი, ჯანმრთელობის—რუშანი, აქციზების—რაჯაკინი, ქალაქის კომენდანტი—ახმეტოვი, ქალაქის დაცვის უფროსი—არუტინოვი. ამას გარდა სერგეი ბეგს ჰყავდა მოწვეული პოლკოვნიკი დოლინინი, რომელსაც უნდა შეედგინა ჯარი დენიკინის ჯარის წესდებების დაგვარად.

სერგეი ბეგის ბატონობა დამთავრდა შვიდ მარტს, როდესაც ჩვენმა ჯარმა გაფანტა მისი ბრბოები და გაანთავისუფლა ახალციხე. სერგეი ბეგმა მოასწრო გაქცევა. მისი მთავრობის ზოგიერთი წევრი დაჭერილია და ზოგი კი იმალება.

აჯანყებამ და სამხედრო მოქმედებამ დიდი ზიანი მიაყენა მთელ ახალციხის მაზრას და ეკონომიურად იქაური მოსახლეობის ცხოვრება კიდევ უფრო აირ-დაირია. აჯანყების დროს ყველაზე მეტად დაზარალდნენ ქრისტიანი ქართველების სოფლები, რომლებიც მეტად შევიწროვებულნი იყვნენ ჯერ კიდევ ოსმალების ბატონობის დროს და შემდეგ, როცა ჩვენი ჯარი პირველად შევიდა ახალციხეში: ბეგებმა სამხედრო საჭიროებისათვის მეტი წილად ქრისტიან ქართველებს დააკისრა, რადგან არ უნდოდათ მაჰმადიან ქართველების შეწუხება. სერგეი ბეგის ბრბოებმა ერთიან მოსპეს, სრულიად დაანგრიეს ზოგი სოფლები, ქრისტიან ქართველების დანარჩენ სოფლებში მრავალი სახლი დამწვარი და დანგრეულია და არ არის ოჯახი რომ არ იყოს გაძარცვული და დარბეული.

ბევრი ქრისტიანი ქართველებიც დახოცეს,—ზოგი აწამეს, დაასახიჩრეს და რამოდენიმე ქალი ტყვედ გაიტაცეს. აჯანყებულები ეუბნებოდნენ ქრისტიანებს, რომ ამიერიდან ერთი მაჰმადის რჯული უნდა იყოს და ყველა უნდა გავმაჰმადიანოთო.

აღსანიშნავია, რომ ბრბოების თარეშის დროს არც ერთი სომხის სოფელი არ დარბეულა. მეტად საშინელ სურათს წარმოადგენს სახელგანთქმული კურორტი აბასთუმანი, რომელიც დღეს სრულიად გაპარტახებულია. არც ერთ სახლისათვის არ დაუტოვებიათ არც ერთი ფანჯარა და კარები. ბევრგან აღებულია სახურავი, აყრილია იატაკი, არსად არ დაუტოვებიათ ავეჯეულობის ნასახი; გაუძარცავთ ყველაფერი და რაც ვერ წაუღიათ, დაუმსხვრევიათ და დაულეწიათ. ვფიქრობ, რომ აბასთუმნის აღდგენას დასჭირდება რამოდენიმე მილიონი. რასაკვირველია, აჯანყებისა და ომის ქარცეცხლი არ ასცდა მაჰმადიანების სოფლებსაც. სადაც ჩვენს ჯარს მოუხდა მოქმედება, მათი საცხოვრებელი დაზიანდა და დღეს დიდ გაჭირვებას და შევიწროვებას განიცდიან. მაჰმადიანი გლეხობა ძალზე შეშინებულია, ვინც სინანულს გამოითქვამს, წყევლის იმათ, ვინც დღევანდელი უბედურება დაატეხა თავზე და ითხოვს შებრალებას. საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ სრული პროვოკაციაა ის ხმები, თითქოს ჩვენს ჯარს დაეხოცოს მშვიდობიანი მცხოვრებლები. ამისთანა მოვლენას არსად ადგილი არ ჰქონია. ჯარისკაცთა-მხრივ იყო რამოდენიმე შემთხვევა მკვიდრთა გაძარცვისა, მაგრამ ამასთანავე უნდა დავძინოთ, რომ ძარცვა-გლეჯაში იღებდენ მონაწილეობას გარეშე პირები ჯარ.-კაც. ტანისამოსში გადაცმულები. ძარცველების წინააღმდეგ მიღებულია მკაცრი ზომები. წართმეულ ქონებას გენ. კვინიტაძის ბრძანებით აგროვებენ სარაიონო ცენტრებში და შედგენილია კომისია, რომელიც ამ ქონებას უბრუნებს პატრონებს.

სამხედრო მოქმედება მაზრაში მინდობილი აქვს გენერალ კვინიტაძეს, რომელიც თავის დავალებას ჩვენი დაკვირვებით ღირსეულად ასრულებს; სისწრაფით გაფანტა ბრბოები, ჰკრებს იარაღს და ამყარებს წესიერებას. გენერალ კვინიტაძის უახლოესი თანაშემწე მისი შტაბის უფროსი პოლკოვნიკი გედევანიშვილი საქმის მცოდნე და იშვიათად მუყაითი ადამიანი.

გიორგი მაჩაბელი
(ვერაგულად მოკვლის წლის თავის შესრულების გამო).

ბრბოების გაფანტვაში ჩვენმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ გამოიჩინეს დიდი გმირობა და თავგანწირულება. რესპუბლიკის თავისუფლებისათვის მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ გზის გაკაფვა და ბრძოლა მტერთან, მაგრამ მედგრად დაძლიეს ყოველივე დაბრკოლება და ყველაზე უფრო სასიხარულო ისაა, რომ მათ მოქმედებას ხელმძღვანელობდა არა ბრძანება და შიში, არამედ—მოვალეობის შეგნება. ამ ნიადაგზე წარმოიშვა უკანასკნელი ახალციხის ამბები და ასე დამთავრდა. ახლა უნდა მივაქციოთ დამფუძნებელ კრების ყურადღება იმ ზომებზე, რომელთა განხორციელება აუცილებელი არის ახალციხის მაზრის ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად და მისი მტკიცე კავშირის დასამყარებლად დანარჩენ საქართველოსთან:

I) ჩვენმა მთავრობამ უნდა აღმოუჩინოს დაუყოვნებლივ დახმარება ადგილობრივ დაზარალებულ მკვიდრთ განსაკუთრებით ხორბლით, როგორც გამოსაკვებად, ისე სათესლედ; თუ ეხლა მინდვრები დაუთესავი დარჩა, დიდი შიმშილობა მოსალოდნელი მომავალ წელიწადშიაც. საჭიროა ხაზინამ უფასოდ მისცეს ხალხს ტყე დანგრეულ სახლების შესაკეთებლად და ახლების ასაშენებლად.

II) ახალციხის მაზრა ჯერ კიდევ სავსებით დამშვიდებული არაა. მცხოვრებ. არ ჩაბარებიათ მთელი იარაღი. არტაანისა და ართვინის მხარეში კვლავ გროვდება ჩვენი საწინააღმდეგო ძალები. ჯერ კიდევ მოსალოდნელია სამხედრო მოქმედების განახლება. ასეთ პირობებში სამხედრო წესების მოხსნა შეცდომა იქნებოდა. სამხედრო წესები უნდა დარჩეს, მაგრამ ადმინისტრაციის სათანადოთ მოწყობამდის სასურველ წესიერებას ვერ აღვადგენთ. ამიტომ, დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს აქ ადმინისტრაცია, მხოლოდ იმ პირობით, რომ ის დაექვემდებაროს ჯარების სარდალს, უმისოდ მოხდება ძალაუფლების გაორება, რაიცა ახალციხის უკანასკნელ ამბების ერთ ერთი მიზეზი იყო.

III) წესიერების დამყარებასთან პარალელურად უნდა გატარდეს აგრარული რეფორმა.

IV) ამ მხარესთან განუწყვეტელი ეკონომიური კულტურული კავშირი უნდა გვქონდეს. ასეთ კავშირის განმტკიცებას მეტად შეუწყობს ხელს რკინის გზის გაყვანა აბასთუმნამდე. მაშინ ჩვენი კულტურაც სწრაფად გავრცელდება. სახალხო სკოლების გახსნას აქედანვე უნდა შევუდგეთ.

V) მაზრაში სიმშვიდის შეურყევლად დამყარების ინტერესი მოითხოვს, რომ დაინიშნოს ფიცხელი გამოძიება წამქეზებელი ამბოხების მოთავეთა აღმოსაჩენად და დამნაშავეთა სასტიკად დასასჯელად.

გ. გვაზავა (ნ.-დ.) იზიარებს მოხსენების ძირითად დებულებებს და ამბობს, რომ ეხლავე გამორკვეული უნდა იქნას ახალციხეში ჩვენი პოლიტიკის მიმართულება. ახალციხეს უნდა მიენიჭოს თვითმართველობა. მთავრობა ეხლავე უნდა შეუდგეს თვითმართველობის და ცენტრის შორის ფუნქციების განსაზღვრას.

ნ. ელიავა (ს.-დ.). კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მთავრობა და ჯარი არ ყოფილა ახალციხეში აჯანყების მიზეზი, როგორც ამას ზოგიერთნი ფიქრობდნენ. შემდეგ ორატორი ეხება დემოკრატიის საგარეო პოლიტიკას და ამბობს: ჩვენი დემოკრატია არავის არაფერს ეძებს, არც არავის დაესხმის თავს. ყოველგვარი სადავო საკითხები უნდა გადაწყდეს ურთიერთ შეთანხმებით, ან არბიტრაჟით, მაგრამ თუ ეს პოლიტიკა მეზობელმა სახელმწიფომ უარყო და თავს დაგვესხა, მაშინ ჩვენი დემოკრატია იარაღს აისხამს და მომხვდურს ჯეროვან პასუხს გასცემს, ძალას ძალას დაუპირდაპირებს. შემდეგ ორატორი ეხება კომისიის მოხსენებას და ამბობს, რომ სავსებით მისაღებია კომისიის დადგენილება, რომ მთავრობამ, როცა დამშვიდებას შესძლებს, პარალელურად აგრარული რეფორმა უნდა გაატაროს. ეს აუცილებლად ასე უნდა მოხდეს. ჩვენი მთავრობა იქ უნდა დაეყრდნოს ადგილობრივ დემოკრატიას—გლეხებს, უკანასკნელთ კი მიწა აინტერესებთ. ამიტომ აგრარული რეფორმის გატარება დიდად შეუწყობს ხელს მხარის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სახალხო განათლების საქმეს. ჩვენ ვიზიარებთ აგრეთვე კომისიის იმ აზრსაც, რომ დახმარება სურსათის და სხვა მხრივ პირველ რიგში უნდა იქნას დაშვებული.

სამხედრო წესები არ უნდა მოიხსნას, ადმინისტრაციის მოწყობას ეხლავე უნდა შეუდგეს მთავრობა. ჩვენ სწორედ ამ საკითხში არ ვეთანხმებით კომისიას: ჩვენის აზრით ადმინისტრაცია არ უნდა დაუქვემდებარდეს სამხედრო უწყებას, სამხედრო ძალა არ არის ადმინისტრაციისათვის მოწოდებული და ამიტომ ამ საქმის მოწყობა ცენტრალურმა მთავრობამ უნდა იკისროს. ჩვენ ვეთანხმებით აგრეთვე კომისიას იმაში, რომ ამ აჯანყების მონაწილენი დასჯილი უნდა იქნან, ჩვენ სასამართლოსაგან მოველით შესაფერ ნაბიჯების გადადგმას. კომისიას მომავალ პოლიტიკაზე არაფერი უთქვამს და ჩვენის აზრით არც საჭიროა დღეს ამის გარკვევა. ჩვენ კონკრეტულ მდგომარეობასთან გვაქვს დღეს საქმე და ამ მდგომარეობიდან გამოვდივართ. რაც შეეხება თვითმართველობას, ეს, რასაკვირველია, ჩვენი საერთო პოლიტიკიდან გამომდინარეობს და ამის წინააღმდეგი ვინ იქნება, როცა ამის საჭიროება დადგება.

ოსმან ეფენდ-შაფი მიქელაძე (ქართველი მუსულმანი). ბატონებო, დამფუძნებელი კრების წევრნო! თქვენ ხართ სრული ბატონ-პატრონნი ქართველი ერისა. ისტორიამ თქვენ დაგაკისრათ მისი მეურვე-პატრონობა. დღემდე საქართველოს ორი მხრიდან მოელოდა საფრთხე: რუსეთიდან შავი რეაქცია მაჯლაჯუნასავით აწვა და გასაქანს არ აძლევდა, სამხრეთიდან კი ისტორიული მტერი ოსმალეთი ემუქრებოდა. დღეს კი ორივესაგან თავისუფალია. დღეს ზეიმი ჰმართებს საქართველოს, თქვენთან ერთად ზეიმი და დღესასწაული ჰმართებს სამუსლიმანო საქართველოსაც.

მე დავალებული მაქვს თქვენს წინაშე განვაცხადო, რომ მესხეთის ხალხს იმ სისხლში, რომელიც ფოცხოვის აჯანყებით დაიღვარა, ხელი არ გაურევია (ტაში). თქვენ იცით, რომ აჯანყება მოაწყვეს ოსმალეთის აგენტებმა, რომლებსაც სურდათ სამუსლიმანო საქართველო საქრისტიანო საქართველოსათვის გამოეყოთ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ახალციხის ამბებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია აგრეთვე აჭარაში, სადაც დატრიალდნენ ოსმალეთის აგენტები და გასწიეს საქართველოს წინააღმდეგ აგიტაცია. მე იქ წაველ და ეს არის იქიდან დავბრუნდი და ჩვენდა სასიხარულოდ უნდა განვაცხადო, რომ აჭარა ოსმალეთის აგენტების აზრს არ იზიარებს და საქართველოსთან სურს ყოფნა (ტაში). თქვენ იცით, რომ დღეს სამუსლიმანო საქართველო გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება, ის თქვენგან მოელის შველა-დახმარებას და მე ვიმედოვნებ, რომ კიდევაც მიიღებს ყოველგვარ დახმარებას. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას (ტაში). გაუმარჯოს საქართველოსთან ერთად სამუსლიმანო საქართველოსაც (ტაში). მე, ბატონებო, კარგად არ ვიცი ქართული ენა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ საქართველოს მთავრობა და რესპუბლიკა ჩემისთანებს შეითვისებს, ასწავლის და განავითარებს. (ხანგრძლივი ტაში).

ნ. რამიშვილი. მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო, ის საკითხი, რომელიც თქვენს წინაშე სდგას, მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ჩვენი რესპუბლიკა იარსებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მჭიდროთ დაუკავშირდება სამუსლიმანო საქართველო. ამიტომ მთავრობის მთელი ყურადღება ამ მიზნისაკენ იყო მიმართული. მთავრობამ მიიღო ახალციხის მცხოვრებთათვის დასახმარებლად ყოველგვარი ზომები და შესაფერ კანონპროექტს ამ დღეებში წარმოგიდგენთ. ჩვენ გადავწყვიტეთ მიეცეს ხალხს დახმარება სათესლე ხორბლის მიწოდებით, სურსათის გაგზავნით და სხვ. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამ მოკლე ხანში იმ მხარეში დამყარდება სრული მშვიდობიანობა და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება.

უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი სამოქმედო პროგრამის ის მუხლი, რომელიც სამუსლიმანო საქართველოს შეეხება, პირველ შემთხვევისთანავე იქნება განხორციელებული (ტაში).

მომხსენებელი გ. ანჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ავტონომიის მინიჭება ჯერ-ჯერობით ნაადრევია. რაც შეეხება ძალაუფლების გაორებას, ეს ცუდ გავლენას იქონიებს და შეაფერხებს ნორმალური პირობების დამყარებას.

მიღებულ იქნა ს.-დემოკრატიულ ფრაქციის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლუცია.

რეზოლუცია.

„მოისმინა რა საგანგებო კომისიის მოხსენება ახალციხის მაზრის შესახებ და მთავრობის განმარტება, დამფუძნებელი კრება აღიარებს, რომ აღნიშნული კუთხის დასამშვიდებლად საჭიროა ერთის მხრით ენერგიული ბრძოლა მოღალატეთა წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრით დემოკრატიულ რეფორმების ცხოვრებაში გატარება. ამისთვის დამფუძნებელი კრება ავალებს მთავრობას:

1) მიიღოს ზომები ადმინისტრაციის მოსაწყობად, რათა შესაძლებელი გახდეს დემოკრატიულ რეფორმების, პირველ რიგში, მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარება და აღმოუჩინოს დაზარალებულ მცხოვრებთ დახმარება სურსათის და ხე-ტყის მასალების მიწოდებით.

2) დროებით, სანამ გარეშე საფრთხე იქნება მოსალოდნელი, დასტოვოს ამ მხარეში სამხედრო წესები და მომქმედ სამხედრო და სამოქალაქო ძალების შეთანხმებულად დანიშნოს თავისი საგანგებო რწმუნებული".

დამფუძნებელი კრების რეგლამენტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ა. ბარათაშვილი, რომელიც აღნიშნავს იმ ცვლილებას, რომელიც შეტანილ იქნა ძველი პარლამენტის რეგლამენტში. ეს ცვლილებები გამოწვეულია დამფუძნებელი კრების განსაკუთრებული მნიშვნელობით და უფლებით, რაც გამოიხატება აღმასრულებელ ძალაში ჩარევის და საგანგებო კომისიების გამოყოფაში. კრება შეუდგა რეგლამენტის მუხლობრივ განხილვას. განხილულ იქნა რეგლამენტის ნაწილები. დანარჩენი [illegible] გამო შემდეგი სხდომისათვის გადადეს. შემდეგი სხდომა მოხდება სამშაბათს, 8 აპრილს.

აკ. ხ.

თფილისის ქუჩებში

დღეს ბევრი აჩნევს და გრძნობს, რომ თფილისის ქუჩები უპატრონოდაა მიგდებული.

ხალხშიც თანდათან ის აზრი იკიდებს ფეხს, რომ თფილისის ქუჩები ის ისეთი უპატრონო ადგილია, სადაც ყველაფერი შეიძლება.

რა ზომებს ვღებულობთ ამის წინააღმდეგ?

ქალაქის გამგეობა და მილიცია ქუჩებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, თითქოს ეს ქუჩები ქალაქის ნაწილს არც კი შეადგენდნენ.

ამიტომაა, რომ ქუჩები ავსილია მუნიანი ძაღლებით,—კაცს გული გერევა, როცა ქუჩაში ნახევრად გაბდღვნილ ძაღლებს ჰხედავ!

ყოველ ქუჩის კუთხე თუ სახლის კედელი ფეხის ალაგად გადაუქცევიათ.

ქუჩები დაუგველია, ნარეცხი წყალი თუ სხვა სიბინძურე ქუჩებში გამოაქვთ...

მილიციონერები კი ამ დროს, იარაღში ჩამჯდარნი დგანან ქუჩებში და იცავენ „წესრიგს"...

ქალაქი ებრძვის გადამდებ სენს, აკრიბულ ფულებს ხარჯავს. სენის გამავრცელებელი ბუდე კი ხელუხლებელი რჩება...

ამას გარდა, სხვადასხვა გვარი ხულიგნური მოქმედებაც ქუჩაში დასასრული არ უჩანს. „პატრონი" ყურადღებას არ აქცევს ამ მოვლენას, მოქალაქენი, ამა, რა უფლება აქვს ვინმეს შენიშვნა მისცეს,—

საკუთარი ტყავის საღად შენახვა ყველაფერს სჯობიაო,—ფიქრობს მოქალაქე.

და რაც დღე გადის, მით უფრო აუტანელი ხდება ქუჩაში გამოსვლა ისეთ ხალხისათვის, რომელნიც ასე თუ ის წესიერად ცხოვრებას არიან მიჩვეულნ

განსაკუთრებით საღამოს ისე ქუჩაშ ვერ გაივლით, რომ რაიმე „სკანდალს" არ წააწყდეთ.

ერთი ამ გვარი „სკანდალის" მოწამ გავხდი 4 აპრილს, საღამოს 10 საათზ გოლოვინის პროსპექტზე, „პიკადილის" ბიოგრაფთან.

ორმა თუ სამმა ყმაწვილმა ერთ ქალს რამდენჯერმე ჩამოუარეს. განს კუთრებით ერთი მათგანი აეკვიატ ქალს და მოსვენებას არ აძლევდა.

ქალმა ამ დროს იქ მყოფ თუ მიმ ვალ ინგლისელ სალდათებს მიაშურ აშინებული კავალერი იქვე მივარდ ქალს ხელი წაჰკრა და შემდეგ გზ გაუდგა...

ქუჩაზე მყოფ ხალხში ამ სცენამ აღ ფოთება გამოიწვია, მაგრამ ვინ რას გ ბედავდა!..

ახალგაზრდებიც გზას გაუდგნენ...

მათმა საქციელმა მეც აღმაშფოთა ვსთქვი: არ არის რიგიანი ქუჩაში აგ სიარული და მოქმედება მეთქი.

ერთი მათგანი მომიბრუნდა და მკ ხედ მომიგო—შენ მერე რა, თუ ინგლ სელს მიჰყვება, მე განა იმაზე ნაკლ ვარო?!..

ამ წინადადებაში ისეთი უზრდელ რა და უცენზურო სიტყვები ჩაყოლ რომ რიგიანი ადამიანი ყურებს თით ბით დაიცობდა.

ამ ლაპარაკში ხალხი შეგროვდა. მ ლიციონერიც მოვიდა. იქვე ახლოს რ მოდენიმე ქართველი ჯარისკაცი იდ

ჩემს წინ წამით ჰგავდა ერთი ახალგაზ და, რომელსაც წინ მოურბენილი ხ ჯალი ტერფზე რეზინქული ეკიდა ისეთი კილოთი დაიწყო ლაპარა თითქოს მას ყველაფრის უფლება ე მინიჭებული.

რატომ თითონ ქალი არაფერს ამბობ რატომ შენ გაუჩნდი მფარველად.

ამ ყმაწვილს ვერ შევასმინე, რომ მომხდარ ხულიგნურ საქციელზე ვ პარაკობდი საზოგადოთ.

ჩემს შეკითხვაზე,—თუ ვინ იყო ის, მიგო: გვარდიელი ვარ, კოლა მ ვერიძე, ჩემი ვინაობა სასახლეში ი თქო. როცა ჩემი ვინაობა გუთხა და ადგილიც დავუნიშნე, სადაც ვ შოთ,—ხელი წამკრა და თან დასძი გეტყვიბა, ოღრანში ხარო..

ჩემს პირად ღირსებას არაფერი მო კლდება ამ ყმაწვილის მიერ მოყენებ ლი შეურაცხყოფით ისე, როგორც არ ფერი შემემატება მისი შექებით, შემთხვევაში არც ჩემი შეურაცხყოფ ლის პიროვნება მაინტერესებს, მაგრ გულის ტკივილით უნდა აღვნიშნო, რ რამდენათ მეტი იქნება ჩვენს გვარდ ში გონებ კერძო ცხოვრებაში ასე თავხედი ყმაწვილები, იმდენათ ჩვ საქმე უარესია...

ამასთანავე მსურს შევეკითხო ჩვ ქალაქის გამგეობას და მილიციას— ზომები იქნება მიღებული თფილის ქუჩების გასაწმენდათ?

დარწმუნებული ვარ ამ გვარივე კ ხვა უტრიალებს თავში თითოეულ ქალაქელს.

„ერთობა"-ში მომუშავე გ. მეგრელი

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

5 აპრილი

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. ნაუენ. აპრ. 3. დანციგში დამოუკიდებელ სოციალდემოკრატ ბის დიდ მიტინგზე მიიღეს ერთხ საპროტესტო რეზოლუცია გერმანი ტერიტორიის პოლონეთზე გადაცე წინააღმდეგ. **კიევი.** აპრ. 2. ბუდაპე ტი ამ ჟამათ ცენტრია ევროპის პრ ლეტარიატის მოძრაობისა. ბუდაპეშტ მოელიან დასავლეთ ევროპის მუშ მრავალი წარმომადგენლისა შეერ ბულ და შეთანხმებით მოქმედებისთ სათათბიროთ.

გერმანული პრესის ცნობები.

გაფიცვების განახლების გამო გერ ნიის ცენტრალურმა მთავრობამ მაღ როს მუშებს მიმართა მოწოდებით, რ მელშიაც ნათქვამია, რომ გაფიცვა მ შების მდგომარეობას ვერ გააუმჯო სებს და საერთო რღვევას გააძლიერ ბას შემდეგ მოჰყავს: ქვანახშირის მ მუშაობის შემცირება. 6 საათის სა შაო დღის შემოღებით და ხელფ მეტის მეტად გადიდებით შესწყდ მუშაობა ყველა სამრეწველოებში, რ ლებიც რურის რაიონიდან იღებენ ქ ნახშირს. ამიტომ ცენტრალურმა მთ რობამ სახელმწიფოს და ხალხის გა სარჩენად პრუსიის მთავრობასთან თად გადასწყვიტა რურის ოლქში სა ყო წესები გამოეცხადებინა.

მოწოდება ასე თავდება: მთავრ არ შეუძლია რესპუბლიკა დაანებოს პროვინციის ან რომელიმე კლასის მანდატურებელ ტერორისტულ თ ნებობას. ყველაფერი მათთვის, ვ

უხილავი მხარე

როცა ტიალად ცისკენ ნავარდით
მიმქრის, თალხს იძრობს კავკასიონი,
ფეთქავს ცისკარი, გულ-მკერდ ნავარდი,
გუგუნებს ზარი ძველი სიონის,—
მეც ვტოვებ ბინას, ვით ცაზე მთვარე,
მივცურავ წინ-წინ, რწმენის აღმართით,
გეახლოვდები უხილავ მხარეს,
განცდის ცეცხლი მწვავს, გულის ალმანთ.
სიზმრით ნახული სატრფო შვენება
თვალ-წინ მიდგება ლიდებით სრულით:
ვეტრფიალები მე ამ ჩვენებას
და ნექტარების ცით მიმფრენს სული.
გრძნობათა სიმნი, ვით ვერხვი, თრთიან,
მიმახვილდება ხედვა და სმენა,—
მაშინ ვქმნი ჰანგებს მწველს, ცეცხლის ფრთიანს,
წკრიალებს ჩანგი, მუსიკობს ენაც!

—

ახ, მეგობარო! იმ უცხო მხარეს,
თუ წამომყვები, გაჩვენებ შენაც:
სხვა გვარათ ბრწყინავს იქ მზეც და მთვარეც,
იქ სულ სხვა ხმები დაგიტკბობს სმენას;
იქ არე-მარეც სულ სხვა ფერია:
წალკოტობს ბარი, ელემობს მთები;
იქ სიმღერასაც სხვაფერ მღერიან:
ხალისიანათ და სულის გზნებით;
იქ ვერ მოისმენ გულ-მომწყვლელ კვნესას,
იქ არ იციან რა არის დარდი:
ვარდები სცვივა ცხოვრების ხესაც
და ფირუზი ცაც მანანას ზარდნის;
თავისუფლების ცეცხლი ანთია,
უმანკოების ლამაზობს თვალი;
შრომის სუფევას ლხინ - დართვია,—
ცხოვრება იწვის სიცოცხლის ალით!

ვ. რუხაძე.

მუშაობს და არაფერი მათ, ვინც ამ ჟამად გაფიცულია. გერმანიისთვის სხვა გამოსავალი არ არის.

ნეიტრალური პრესის ცნობებით დანციგის საერთაშორისო ნავსადგურად გამოცხადების შესახებ გერმანიაში ამუშავებული ახალი პროტესტი გამოიწვია.

ინგლისური პრესის ცნობები

ნიუიორკიდან იუწყებიან, რომ ფოშის გეგმა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საბოლოოთ უარყვეს. ოთხთა სამხედრო საბჭო იხილავს ახალ პროექტს, რომელიც უთუოდ მიღებულ იქნება, რადგან მის სასარგებლოთ ლაპარაკობს ინგლისის და ამერიკის მისია და ოფიციალური თანხმობა განაცხადეს იტალიის და საფრანგეთის წარმომადგენლებმა. აზრათ აქვთ რუსეთს ისე მოექცნენ, როგორც ბელგიას. უნდა შედგეს კომისია, რომელიც მოაწესრიგებს დახმარებას ერთ რომელიმე ნეიტრალური სახელმწიფოს მონაწილეობით, მაგალითად, დანია, რომელიც იკისრებს პასუხისმგებლობას სურსათის და ნედლი მასალის შეტანის და განაწილების შესახებ, ასაზრდოებს და სამუშაოს მისცემს რუსეთში მილიონ მშიერს და უმუშევრებს. ეს არ იქნება ქველმოქმედება. რუსები ყველა ამაში გადაიხდიან, რაც აუცილებელია. იმედი გვაქვს გარემოება აიძულებს მათ გამოასწორონ წარსულის შეცდომები.

ეს პროექტი არ ითხოვს ბოლშევიკური მთავრობის აღიარებას, იმ გამონაკლის შემთხვევის გარდა, თუ მისი ძალა გაიზრდება იმდენათ, რომ გაუთანასწორდება სხვა მთავრობებს, რომლებიც ამ ჟამად ყოფილ იმპერიის საზღვრებში პირველობისთვის იბრძვიან. ლენინი აცხადებს, რომ მას და მის პარტიას არ აქვს სახეში არავითარი მტრული მოქმედება და პარიზში განცხადება გაგზავნა, რომ ის აღასრულებს ამას და შეწყვეტს ბრძოლას იმ პირობით, თუ ჯარს, რომელიც ეხლა მის წინააღმდეგ მოქმედობს, უკან გაიწვევენ. ეს პირობა შეიძლება მიიღონ, თუ შესწყვეტენ ამუნიციის და სხვა მასალის გზავნას იმ ჯარისთვის, რომელსაც ეს ესაჭიროება. ეს გეგმა მიღებულ იქნა პრინციპიალურად და ეხლა ამუშავებენ ტექსტს საბოლოოთ დასამტკიცებლად.

გერმანელებს დაპირდენ, რომ დანციგში პოლონეთის ჯარის გადმოსხმას არავითარი გავლენა არ ექნება ქალაქის ბედის გადაწყვეტაზე. დანციგის ნავთსადგურის ბედი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. მაგრამ მოსალოდნელია, რომ იგი თავისუფალ ნავთსადგურად გამოცხადდება.

ლონდონის გაზეთებში საინტერესო ცნობებია ხალხთა ლიგის შესახებ.—ზავზე მოლაპარაკების დაწყებიდან დღეს პირველად აღიარებენ გაზეთები, რომ ის, რაც აქამდე იბეჭდებოდა პრესაში ხალხთა ლიგის შესახებ, სიმართლეს არ შეეფერებოდა და არავითარი ეჭვი არაა, რომ როცა გამოქვეყნებული იქნება საზავო პირობები, ყველა განცვიფრებაში მოვა.

საფრანგეთის პალატაში სამხედრო სამინისტროს უმცროსმა მდივანმა აუწყა, რომ მთავრობას არ სურს რუსეთში გაგზავნოს საფრანგეთის ჯარი, მაგრამ სრულიად ეთანხმება მოკავშირე სახელმწიფოებს ბოლშევიკებთან ბრძოლის საქმეში და მზათ არის დაეხმაროს მოკავშირეებს ფულით და სანოვაგით.

საფრანგეთმა ხელი აიღო ყველა თავის ტერიტორიალურ მოთხოვნილებაზე ელზას—ლორენსა და საარის ველის გარდა.

ომსკიდან იუწყებიან, რომ ციმბირის ჯარმა შეტევა დაიწყო ბოლშევიკების წინააღმდეგ და ოხანსკი, ოსა და ბირსკი დაიჭირა.

სკანდინავიის მთავრობამ მიიღო წინადადება გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები ხალხთა ლიგის ხელშეკრულების არა ოფიციალურ კერძო თათბირში მონაწილეობის მისაღებათ.

„ტანი“ იუწყება, რომ ხალხთა ლიგის კომისია მალე დაიწყებს მუშაობას. დანიშნეს ოფიციალური სხდომა რომელზედაც ნეიტრალური სახელმწიფოები თავის მოხსენებებს წარმოადგენენ.

ლიონი. ჩიკაგოს გაზეთი „დეილი-ნიუს“ იუწყება, რომ ბელა კუნმა სცნო უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკა და წინადადებას იძლევა მასთან სამხედრო კავშირის შეკვრით ბოლშევიკურ ჯარით გადაიარონ ევროპის ცენტრი და აღმოსავლეთი. ყოველი მოკავშირე სოციალისტური რესპუბლიკა (რუსეთის უკრაინის, უნგრეთის) მოვალეა მეორის საზღვარი დაიცვას, ცხოვრების უამრავი საგანი მიაწოდოს, მეზობელ ბურჟუაზიულ რესპუბლიკათა იმპერიალისტურ ტენდენციებთან ბრძოლას ხელი შეუწყოს, პირველ ყოვლისა პოლონეთსა და რუმინიაზე.

ნიუ-იორკი. საბოლოოთ გადაწყდა, რომ პირველ კონფერენციაზე გერმანიიდან ბელგია მიიღებს.

მთავრობაში

27 მარტს მთავრობამ დაადგინა:

სანამ დამფუძნებელი კრება განიხილავს კანონპროექტს მოწონებულს მთავრობის მიერ 1919 წ. 18 თებერვალს—მიეცეს ფინანსთა მინისტრს უფლება ყოველთვიურად გაიღოს 12,875 მანეთი, სამინისტროს კრედიტების ნაშთებიდან, საბაჟოს მოხელეთა, ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა დაწესებულებების მოხელეებთან, ჯამაგირების მხრივ გათანასწორების საჭიროებისათვის;

— ა) წინადადება მიეცეს სახელმწიფო კონტროლიორს, შეძლებისა და გვარად, დააწესოს სამხედრო უწყებაში წინასწარი კონტროლი. ბ) ის საქონელი, რომელიც სამხედრო სასურსათო საწყობში არსებობს და უწყებისათვის უვარგისია, გადაცემულ იქნას მომარაგების კომიტეტის საწყობში და იქიდან გაიყიდოს.

— კანონ პროექტი ქალაქებში მიწების დაგირავებისა და გაყიდვის დროებითი შეზღუდვისა მოწონებულ იქნას და წარედგინოს სასწრაფოდ დამფუძნებელ კრებას.

—

29 მარტს მთავრობამ დაადგინა:

— ა) კანონ-პროექტი სახაზინო და კახეთის რკინის გზებზე ტარიფის მომატების შესახებ მოწონებულ იქნას და სასწრაფოდ გადაეცეს დამფუძნებელ კრებას. ბ) კანონ-პროექტი რკინის გზის ფოსტის მოხელეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ მოწონებულ იქნას და სასწრაფოდ გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

— დაევალოს სასურსათო საბჭოს აეკრძალოს ყველა საკანდიტეროებში ტკბილეულობის (ცხობა.—1) მოკავშირეთაგან მიღებულ პურის გამოცხობა და განაწილება მიენდოს თბილისის თვითმართველობას, რომელმაც, პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით უნდა გამოარკვიოს წესი პურის განაწილებისა. 2) ჯერ-ჯერობით ეს პური ერთი გირვანქის რაოდენობით (სულზე) უნდა დაურიგდეს თბილისის ყველა მუშებს და სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოხელეთ (გარდა სამხედრო უწყებისა).

ახალი ამბები

შაქარი. ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებამ ზომები მიიღო, რომ მომავალ კვირაში დაურიგდეს იანვრის შაქარი იმათ, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ.

◆ **ბეჭდვითი ხელობის** მუშათა პროფესიონალური კავშირის გამგეობამ კავშირის წევრებს მოწოდებით მიმართა, რომელიც ასე თავდება: გამგეობა იმედოვნებს, რომ შეგნებული ამხანაგები არ გაჰყვებიან იმათ მოწოდებას, რომელთაც სურთ მუშათა ორგანიზაციაში განხეთქილების მოხდენა, არ მივლენ მათ მიერ მოწვეულ კრებაზე 6 აპრილს და გამოცხადდებიან მხოლოდ გამგეობის მოწვევის თანხმად 13 აპრილის კრებაზე.

◆ **ცნობის უარყოფა.** მეოთხე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „ერთობის“ 4 აპრილის ნომერში სწერია, რომ მეოთხე რაიონის სახალხო გვარდიელმა მ. რაზმაძემ მოჰკლა კ. ვართანოვი. შტაბი გაცნობებთ, რომ ხსენებული რაზმაძე მისდამი რწმუნებულ რაიონის გვარდიელთა სიაში არ არის და არც ყოფილა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება.** დღეს, საღამოს 6 საათზე სახალხო უნივერსიტეტის მე-5 განყოფილების გახსნა დანიშნულია კუკიის წმ. ნინოს უბნის სასწავლებლის შენობაში. ლექციების წაკითხვა მოხდება შემდეგ თემაზე: ს. გორგაძიანი საქართველოს მწერლობის ისტორიაზე, ინჟინერი ალშიბაია: „ელექტრონი და ორთქლის ძალა“ და ექიმი ტერიაშვილი ხოლერაზე.

◆ **შიკრიკი ადესაში.** ამ მოკლე ხანში, ადესის ქართული საზოგადოების შიკრიკი დაბრუნდება ადესაში. მიიღება ადესის, ნოვოროსიისკის, ფეოდოსიის, იალტის და სევასტოპოლის წერილები. თბილისში—პიატიგორის შავი ქვის საბჭოსი (გოლოვინის პროსპექტი № 19) 10 ს.—3 ს., ქუთაისში—ქალაქის თეატრის კასაში 10—2 ს., ფოთში—პროვიზორ ალ. მდივანთან აფთიაქში 10—3 ს., სოხუმში—კოოპერატივ „ზარიაში“—ს. რამიშვილთან 9—1 ს.

◆ **საავადმყოფო კასების კონფერენცია.** 6 აპრილს, დილის 9 საათზე შრომის კომისარიატის ბინაზე (პეტრე დიდის ქუჩაზე № 8) შესდგება გაგრძელება კონფერენციისა სავალდებულო კასების წარმომადგენელთა.

◆ **ელექტრონის სადგურების მუშების** გაფიცვა არ მოხდება ვინაიდან შრომის კომისრის წინადადებით კონფლიქტი გადაცემული იქნა მომრიგებელ კომისიაში.

◆ **თავდასხმა.** 4 აპრილს საღამოს 9 საათზე ლევითის ქუჩაზე მიმავალ ვ. კლიმიაშვილს თავს დაესხნენ 4 შეიარაღებული ბოროტ მოქმედნი და სიკვდილის მუქარით წაართვეს ფული და ძვირფასი ნივთები 6,000 მანეთისა.

◆ **დიდუბეში** (დიდუბის ქ. № 19) იმყოფება 2 ობოლი ბავშვი, მათ დედას არაფერი სახსარი არა აქვს მათი გამოზრდისა. სთხოვენ მთავრობას და გულკეთილებს, მიაქციონ ამას ყურადღება და გამოზარდონ ეს ბავშვები.

◆ **კრება.** 6 აპრილს ორთაჭალის მუშათა კლუბში დანიშნულია საზოგადო კრება ორთაჭალის სცენის მოყვარეთა წრის წესდების დასამტკიცებლად.

◆ **კრება.** ორშაბათს, 7 აპრილს, 19 თებერვლის ქუჩაზე სახლი № 9, დანიშნულია მე-8 უბანში მცხოვრებ მოქალაქეთა საერთო კრება. განსახილველი ფრიად საინტერესო საკითხები. კრება გაიხსნება დილის 11 საათზე.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის მეხუთე განყოფილებაში (წმ. ნინოს უბანი) დანიშნულია შემდეგი ლექციები: 1) ე. ალშიბაიას „ელექტრონი და ორთქლი“; 2) სერ. გორგაძიანის შესავალი ლექცია: „დემოკრატიისთვის ცოდნის მნიშვნელობაზე“; 3) ექ. ტერიაშვილისა „ჰიგიენა“.

— დღეს, 6 აპრილს, დილის 10 საათზე ორთაჭალის მუშათა კლუბის შენობაში დანიშნულია მე 6 რაიონის ს. ს. დ. მ. პარტიის წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, 6 აპრილს, საღამოს 4 ნახ. საათზე, ტერიტორიის ქუჩა, № 2. დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა თბილისის კომიტეტის კრება.

განაპირა უბანი

განაპირა უბნების მდგომარეობა სწორეთ მოგახსენოთ კალმით აღუწერელია. ჯერ არის და ვინ არ გინდათ, რომ ღვინო-არაყით დღეს არა ვაჭრობდეს და მთელ ქუჩებში ამის გამო უწესოება არ იყოს. დაღამდება და ძილს განა ეღირსები? ასტყდება ერთი ყვირილ—ძახილი და თოფების და რევოლვერების გრიალი. „შველეთ“—ყვირიან მარჯვნივ და მარცხნივ, მაგრამ ვინაა მშველელი? ყველა თავის სახლში ჩაკეტილა და შიშისაგან კრთის. ასე ხდება თითქმის ყოველ ღამე და ხშირათ ამაზე უარესიც. განსაკუთრებით ვერაზე, ვაკეში. ხალხი ძალზე დაშინებულია. არ იცის რა ჰქნას, როგორ გადაურჩნენ ასე გათავხედებულ ავაზაკ მძარცველს ამ ერთ კვირაში ათზე მეტი სახლი გატეხეს და დაარბიეს.

ამის გამო ამ კვირას 6 აპრილს, რამოდენიმე მოწინავე პირების თაოსნობით დანიშნულია საერთო ყრილობა მთელი ვაკის მცხოვრებლებისა და იმედია ყველანი დაესწრებიან. ყრილობა დაიწყება საღამოს 5 საათზე.

ინიციატორთა მინდ. ი. გარსევანიშვილი.

ანდრეიკას გარდაცვალების გამო

ამ პატარა ანგელოზის გარდაცვალებამ ჩვენ ყველანი მწუხარების ზეწრით შეგვმოსა.

პატარა ვარდი, დიდი კაცის, პატარა, მაგრამ ცხოველი იმედი დიდბუნებოვანი ადამიანის,—აი ვინ ეთხოვება დღეს ამ ქვეყნიურ ხნის სხივთა სიამეს.

ჩვენ ნოესთან ერთად ვგლოვობთ მას იმიტომ, რომ ნოეს მშვენიერი სახის ლანდი—ჩვენს გულში უნებურათ იწვევს მწუხარებას.

შეგვეყვარა ამ დიდ მასწავლებელს, შეგვეყვარა მას როგორც უფროსს ამხანაგს, როგორც ჩვენი დიდი ოჯახის თანამოაზრეთა ოჯახის განუყრელ წევრს, და მისი ოჯახური დარდიც ჩვენ დარდად იქცა.

განა ნოეს შუბლზე მწუხარების ნაოჭი შეიძლება სხვაგვარათ ვიგრძნოთ?

და ჩვენ ვგლოვობთ დღეს მასთან ერთად პატარა ანდრეიკას ასე უდროოთ, ასე უსამართლოთ დაკარგვას.

თქვენთან ვართ ამ ოჯახური განცდის მწარე წუთებშიაც, ჩვენო მეგობარო, ამხანაგო და მასწავლებელო!..

—

ანდრეიკას გარდაცვალების გამო რედაქციამ შემდეგი სამგლოვიარო დეპეშები და წერილები მიიღო. ნოე ჟორდანიას სახელზე:

სოხუმიდან: სოხუმის პროფ. კავშირთა საბჭო გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გულითადი მწუხარება იმ დანაკლისის გამო, რომელიც თქვენ გეწვიათ. საბჭო იმედოვნებს, რომ მწუხარება ვერ გასტეხს ჩვენი ბელადის ენერგიას. თავმჯდ. რამიშვილი, მდივანი ხლოჩკო.

—

მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას შემდეგი თანაგრძნობის წერილები და დეპეშები მოუვიდა:

„ძვირფასო ჟორდანია, გთხოვთ მიიღოთ ჩემგან გულწრფელი თანაგრძნობა დიდი უბედურების დროს, რომელიც თქვენ დაგატყდათ თქვენი შვილის დაკარგვით. მე ძალიან შემაშფოთა ამ სამწუხარო ამბავმა, მით უმეტეს, რომ მე ვიცი, რამდენათ ძვირფასი იყო თქვენთვის თქვენი ვაჟი. მე ძალიან მსურდა მისი ნახვა, მაგრამ როცა ყოველთვის ამის შესახებ ვკითხულობდი, მიპასუხებდნენ, რომ ის მძიმე ავადმყოფია.

იმედი მაქვს, რომ ეხლა თქვენ უკეთ გრძნობთ თავს და გმირულად გადაიტანთ მძიმე დანაკლისს. გთხოვთ ჩემი თანაგრძნობა გადასცეთ თქვენს მეუღლეს, გულწრფელად თქვენი ბიჩი.

—

„ძვირფასო, ბ-ნო ჟორდანია. გუშინ აქ დაბრუნების შემდეგ გავიგე თქვენი ვაჟის გარდაცვალება, რამაც ძალიან დამამწუხრა. გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა თქვენი მძიმე დანაკლისის გამო. გულწრფელად თქვენი ტომსონი.

—

„ვქვითინებ პატარა ანდრეიკას ნორჩ საფლავზე, დღეს ჩვენმა საერთო მწუხარებამ შემოგვკრიბა თქვენი საშინელი უბედურება. თქვენს გარშემო შემოკრებილი დემოკრატია გიზიარებთ თქვენ, უთქვენოთ ჩვენ დავობლდებით.

ვალიკო ჯუღელი.

„თქვენო აღმატებულებავ! უფალმა ღმერთმა მოგივლინათ დიდი ტანჯვა. მოგიკვდათ ერთად ერთი ვაჟი, რომელიც თქვენი ნუგეში და იმედი იყო. ამ მძიმე განსაცდელის დროს არა მარტო თავისუფალი საქართველოს შვილნი, არამედ სხვა მოძმე ერებიც და აგრეთვე თავისუფალი პოლონეთი, გულწრფელ თანაგრძნობას გიცხადებთ. ამიტომ გთხოვთ თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ჩვენი ღრმისი თანაგრძნობა, რომელიც შეერთებულია ლოცვასთან, რომ უფალმა ღმერთმა შეგიმსუბუქოთ თქვენ თქვენი დიდი მწუხარება. პოლონეთის სახელმწიფოს წარმომადგენელი ოხტროვსკი.

—

კახეთის რკინის გზის დემოკრატია, პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ გამგეობის სახით გულწრფელად იზიარებს, ამხანაგო მასწავლებელო, თქვენს მწუხარებას. ამასთანავე იმედოვნებს, რომ ეს გამოცდა მწარე ბედისა ვერ შეარყევს, ვერ დაასუსტებს თქვენს მებრძოლ გულს და კვლავინდებურათ განაგრძობთ მოღვაწეობას დემოკრატიის საკეთილდღეოთ.

კავშირის გამგეობა.

—

სად. სადახლოს და მისი რაიონის ყველა უბნის რკინის გზის მოსამსახურეები გამოსთქვამენ გულითად მწუხარებას მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ვაჟიშვილის ანდრიას უდროოდ გარდაცვალების გამო.

—

მე 6 რაიონის კოლექტივი იზიარებს თავის ბელადის ნოე ჟორდანიას ოჯახურ მწუხარებას და გამოსთქვამს იმედს, რომ ეს მწუხარება ვერ დაასუსტებს მხცოვან მასწავლებლის მებრძოლ გულს და კვლავინდებურათ განაგრძობს ენერგიულ მოღვაწეობას დემოკრატიის საკეთილდღეოთ.

მე 6 რაიონის კოლექტივი.

—

თბილისის მილიციის კავშირის გამგეობა გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბელადის, ნოე ჟორდანიას ვაჟიშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო.

ფქვილ-ნახშირის შესახებ

იმ წერილის გამო, რომელიც მოთავსებული მქონდა იანვრის 31-ში გაზეთ „ერთობის“ მე 24 №-ში მიწათ-მოქმედების სამინისტროს ყურადღების მიქცევისა და შეკითხვებით გიორგ ცაციშვილმა თავისი აზრი გამოთქვა ამ საგნის შესახებ.

გიორგ ცაციშვილის აზრით („ერთობა“ № 63) მოხმარება წინადათ დაფქვილი ნახშირისა შესაძლებელია და რაციონალურიც, მხოლოდ ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული „საფქვი აპარატი“, რომელიც ჩვენში არ მოიპოვება.

ამის შესახებ უნდა მოგახსენო მიწათმოქმედების სამინისტროს და ბ-ნ ცაციშვილს, რომ არავითარი განსაკუთრებული აპარატები ამისათვის საჭირო არ არის, რომ ამ ფქვილ-ნახშირის მიწოდება ქვაბის ღუმელში თითქმის ისევე სწარმოებს, როგორც შავი ნავთისა.

მიხ. შალამბერიძე.

მოვალეობის მსხვერპლნი

ვლადიმერ ფ. ჩხაიძე.

სანაინთან ბრძოლაში ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა ჯარისკაცი ვლად. ფ. ჩხაიძე.

ვინ იყო ის? ღარიბი ოჯახის შვილი სოფ. ალავნის (გურია) მცხოვრები. სამხედრო ბეგრის მოსახდელად გასვლა მას ბედმა არგუნა რევოლუციის დაწყებამდე. რუსეთის რევოლუციის დასაწყისიდანვე იგი ჩაება ჯარისკაცთა ორგანიზაციებში და ერთგულად ემსახურებოდა თავისუფლებას. მართალია, ის ფართო საზოგადოება არ იცნობდა, როგორც პარტიულსა და პოლიტიკურ მოღვაწეს, მაგრამ განა ცოტანი არიან, საზოგადო ჩუმი მუშაკნი რომლებიც თავის თავზე არა ჰყვებიან, რომლებიც დაუზარებლად აკეთებენ ხალხის საქმეს? და ერთი ასეთთაგანი გახლდათ უჩინარი მუშაკი ვლად. ჩხაიძე, რომელსაც თავის საზოგადოება კარგათ იცნობდა, ის იყო სოც.-დემოკ. პარტ. წევრი. სოფლად კულტურული მუშაობა მისი სატრფიალო საგანი იყო, და ამ სარბიელზე მან ბევრიც შესძინა თავის საზოგადოებას, როდესაც მტერი ვერაგულად სანაინთან თავს დაესხა ჩვენს მოწინავე დარაჯებს, მაშინ ვლადიმერი, როგორც სადარაჯოს უფროსი, 11 კაცით ეკვეთა მომხდურთ, უკანასკნელ წუთამდის მას ხელიდან იარაღი არ გაუგდია და გმირულ ბრძოლაში დალია სული. დასაფლავებულია სოფ. ფარანცოვკაში.

მშვიდობით თავისუფლებისა და სამშობლოს დაცვისათვის თავგანწირულო მებრძოლო! შენი ხსოვნა სამარადისო იქნება შენს ნაცნობებსა და ამხანაგთა შორის.

დ. ბაიხოშვილი.

ს.-დემ. პარტიაში

ს. ს.-დ მუშ. პარტიის თბილისის მაზრის ორგანიზაციათა კომიტეტის დამფუძნებელი კრება.

1 აპრილს დამფუძნებელ კრების ს.-დ. ფრაქციის დარბაზში გაიხსნა თბილისის მაზრის ს.-დ. მ. პ. ორგ. კომ. პირველი კრება. კრება გახსნა საორგანიზაციო ბიუროს წევრმა ამხ. ვ. კაკაბაძემ, რომელმაც აღნიშნა კრების მოწვევის მიზანი. კრების დროებით თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ვ. კანჯარაშვილი, მდივნათ გერონტი კილასონია. ჩვენს ბელადს და პარტიის დამაარსებელს ნოე ჟორდანიას კრების სახელით გაეგზავნა დეპეშა. შემდეგ კრებას მიესალმენ დამფუძნებელ კრების სოც.-დემ. ფრაქციის და თბილისის მაზრის ერობის ს.-დ. ფრაქციის სახელით ამხ. დ. ონიაშვილი, საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხ. ანანია სალუქვაძე, ს. ს.-დ. მ. პ. თბილისის კომიტეტის სახელით ამხ. რ. ჩიხლაძე, თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს და საოლქო კომისიის სახელით ამხ. დ. ხართიშვილი. კრებამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენება სამანდატო კომისიისა; 2) მოხსენებები ადგილებიდან; 3) ორგანიზაციული მუშაობა სოფლად; 4) არჩევნები; 5) მიმდინარე და 6) განცხადებები.

მოხსენებას აკეთებს სამანდატო კომისიის წევრი ამხ. კანჯარაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ წარმოდგენილია 18 ორგანიზაციიდან 16 დელეგატი და სათათბირო ხმით—6. მოხსენებას კრება იღებს და აცხადებს თავის თავს „საქ. სოც. დემ. მუშ. პარტ. თბილისის მაზრის ორგანიზაციების კომიტეტათ“. სქემატიურ მოხსენებას თბილისის მაზრაში მუშაობის შესახებ აკეთებს ამხ. ვ. კაკაბაძე. ის აღნიშნავს, რომ სისტემატიური ხასიათი არ ჰქონდა ჩვენს მუშაობას მაზრაში, რადგანაც ხელს გვიშლიდა ჩვენი შინა და გარე პოლიტიკური მდგომარეობა. რაც ადგილობრივი მოწინავე ძალები იყვნენ სოფლებში, ბრძოლის ველზე იმყოფებოდენ. ორგანიზაციები მოშლილი იყო და ჩვენ არ გვქონდა იმდენი დრო, რომ დადებითი მუშაობა გვეწარმოებინა. ერობის და დამფუძნებელ კრების არჩევნებმა ბევრი დრო წაგვართვეს და ბრწყინვალედაც გავიმარჯვეთ მაზრაში; ამ ბოლო დროს სასოფლო კომისიის მუშაობის მეოხებით თითქმის ყველგან მოეწყო ორგანიზაციები. მანგლისის რაიონში 4 ორგანიზაციაა, სადაც ირიცხება 360 წევრი, ბელოკლიუჩის რაიონში—ორი ორგანიზაცია დავაარსეთ, სადაც ირიცხება 160 წევრი. აგრეთვე დიღომში, ნორიოში, წავკისში და ავჭალაში. ყველა რაიონებზე უკეთ სართიჭალის რაიონშია არის მოწყობილი ორგანიზაციები და გვარდიის შტაბები და აქედან ჩანს ის, რომ მარტო საგარეჯოდან და მარტყოფიდან ამჟამათ ფრონტზე იმყოფება 678 გვარდიელი. ორგანიზაციები მოწყობილია მთელს მაზრაში, საჭიროა მათი შეკავშირება, და იდეური ხელმძღვანელობის გაწევა და აი, ამ მიზნით მოვიწვიეთ სწორეთ ეს კრება და იმედს გამოსთქვამს, რომ ამიერიდან ამ კომიტეტის ხელმძღვანელობით მჭიდროთ შეკავშირდება და სათანადო ნიადაგზე დადგება თბილისის მაზრის ორგანიზაციები. შაშიაშვილი (მანგლისი). ორგანიზაცია არსებობს, წევრები ირიცხება, ორგანიზაციულათ უფრო კარგათ მოვაწყობდით გარემო სოფლებს, რომ ადგილობრივი პირობები (ანარქიული გამოსვლა ყაჩაღების მიერ) ხელს არ გვიშლიდეს, გვარდია მოვაწყვეთ, სადაც 120 კაცი ირიცხება და იმედია მალე მოეწყობა ერობა. ა. ქვათაძე (ბელოკლიუჩის რაიონი) ამ რაიონს ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, რადგანაც სულ სხვა და სხვა ეროვნების ხალხია და სხვა და სხვა ორიენტაციის. მოგეხსენებათ, ეს რაიონი სომხეთის საზღვართან ახლოა და ბევრი სოფლებია განადგურებული ომის დროს და სურსათის მხრივ გაჭირვებას განიცდიან. თუ ვისმეს შეუძლიან ამ სოფლების შეკავშირება და დაახლოვება ცენტრთან მხოლოდ ჩვენს პარტიას, როგორც ინტერნაციონალური იდეების მატარებელს. საჭიროა, რომ ამ რაიონს ამ მხრივ მიექცეს ყურადღება. აქ არის მობინადრე ოსები და ბერძნები, რომლებიც იკვებებიან ათას გვარი პროვოკაციით. მათ ამხედრებენ ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ თუ გავგზავნით მომუშავეებს, როგორც სხვა სოფლები ისინიც იგრძნობენ თავის შეცდომას და გახდებიან ჩვენი თანამოაზრენი. აღსანიშნავია, რომ იქ არის ერთი სოფელი მარაბდა, სადაც მთელი იქაური მცხოვრებლები ჩვენი პარტიის წევრათ არიან ჩაწერილნი და მათი საშუალებით ვმუშაობთ. ამ რაიონებში დავაწყობთ ორგანიზაციებს. ორგანიზა-

ცია მოეწყო ახურითში, კადი საზოგადოება 116 წევ. არჩეულია ხელმძღვანელი კოლექტივი. აგრეთვეა ენაგეთში და მარაბდაში. საჭიროა, რომ მიწის რეფორმა გატარდეს აქ, რადგან რამოდენიმე ადგილებში არც დაწყებულა მიწების მიღება. კახაბრიშვილი (ნორიო) ორგანიზაცია არსებობს, სადაც 100 წ. ირიცხება, ჩვენი პარტიის გავლენა დიდია ამ საზოგადოებაში. გენებაშვილი (დიღომი). რევოლიუციის დასაწყისში ორგანიზაცია არსებობდა, მაგრამ როცა დაბრუნდნენ ფრონტიდან მობოლშევიკო ჯარისკაცები. შეუძლებელი იყო ჩვენი მუშაობა. ამ ბოლო ხანში, როცა პირობები შეიცვალა, ჩვენც განვაახლეთ ორგანიზაცია და ირიცხება 70 წევრი, ჩვენი გავლენა დიდია, სხვა პარტიებს არავითარი ნიადაგი არა აქვთ. ახაზაძე (ვეძისი) ორგანიზაციაში 86 წევრია, მაგრამ ხელმძღვანელი კოლექტივი მოისუსტებდა. ამ ბოლო ხანში ჩვენ მოვახდინეთ მისი რეორგანიზაცია და საგურამო 3 რაიონი მოჰყვნენ წევ. იმედია, რომ დღიდან გაძლიერდება მუშაობა აქაც. ახარიაშვილი (აგარეკი). ამ საზოგადოებაში 1500 კომლია, დიდი უმრავლესობა ჩვენი თანამგრძნობია, ორგანიზაციაში 200 წევრ. მოწინავე ამხანაგები ფრონტზეა და მუშაობა ჯერ ჯერობით შეფერხებულია. მოითხოვს, რომ ჩქარ ჩქარა იგზავნებოდეს პროპაგანდისტები გარეშემო მდებარე სოფლებში ორგანიზაციის მოსაწყობათ. ჯალაღანია (ვ ტირძულ) ორგანიზაციაში 120 წევრია. მოითხოვს, რომ სისტემატიურათ იმართებოდეს ლექციები და საუბრები ჩვენ პარტიულ მუშაობაზე, რასაც საჭიროება მოითხოვს პროვინციის ორგანიზაციების წევრების განვითარებისათვის. გონიაშვილი (ხაშმ.) თუმცა სისტემატიური მუშაობა არ სწარმოებდა, მაგრამ ხალხში ჩვენს პარტიას დიდ გავლენა აქვს, ორგანიზაციაში 120 წევრია, აქედან 90 გვარდიელია. ფურცელაძე (მარტყოფი). ორგანიზაციაში 125 წევრია. მოისუსტა ორგანიზაციის მუშაობა, რადგანაც საზოგადოება სურსათის გამო კრიზისს განიცდის და მოწინავე ამხანაგები ფრონტზეა. ქინქარაშვილი (სართიჭალა) აღნიშნავს, რომ წარსან ძლიერ ძნელი იყო ჩვენი მუშაობა, რადგანაც მობოლშევიკო ჯარისკაცები ამას საშუალებას არ გვაძლევდენ, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში, როცა დარწმუნდნენ ჩვენი პარტიის და მთავრობის ნაყოფიერ მუშაობაში, დღეს ეს ჯარისკაცები საუკეთესოდ მუშაობენ ჩვენ ორგანიზაციაში. მოითხოვს, რომ კომიტეტმა ამიერიდან გააცხოველოს ჩვენი პარტიული მუშაობა თფილისის მაზრაში.

ილებს რამდენიმე მოხსენებას, კრება გადადის მორიგ საკითხზე.

ვ. კალახონია.

(დასასრული იქნება)

მუშათა შორის

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში.

4 აპრილს შესდგა საბჭოს მორიგი კრება, რომელსაც თვით შემადგენლობა დაესწრო მცირე გამონაკლისით. პირველი კითხვა სეკრეტარიატის ხელახალი არჩევნები. საქმე იმაშია, რომ ეს არჩევნები უნდა მომხდარიყო თითქმის ერთი თვის წინად, მაგრამ რადგან პროფესიონალურმა კავშირებმა საბჭოს წევრების არჩევნები ვერ მოასწრეს თავის დროზე, ამიტომაც არჩევნებიც გადაიდო, ეხლა გამოირკვა, რომ არჩევნები მოეხდინა 34 კავშირებიდან 28-ს, რომლის წარმომადგენლები 68 კაცს შეადგენს. უნდა ხაზი გაესვას, რომ თვითმართველობის მოსამსახურეების დეზორგანიზაციულმა გამოსვლამ ბევრი თავსამტვრევი საქმეები დაატეხა თავს პროფესიონალურ კავშირების ცენტრს ერთის მხრივ და არევ დარევა შეიტანა სხვა ზოგიერთ კავშირებში. მეორე მხრივ კავშირების საჭირბოროტო კითხვა გახდა ხნარის დაჭერა თუ არა გაფიცულებისათვის. ეს კითხვა ყოველთვის იწვევდა განხეთქილების და კონფლიქტს წევრთა შორის თუმცა ბოლოს ხმის უმეტესობით თითქმის ყველა კავშირებში (ორი სამის გამონაკლისით) გაფიცვის წინააღმდეგ წყდებოდა. თფილისის ორგანიზაციულათ შეკავშირებულმა მუშათა კლასმა, პროლეტარიატმა თავისი დაუფიქრებლობა, თავისი ორგანიზაციის ჩამოყალიბება ჯგუფ საქმით დაამტკიცა, რომლისაც თითო ოროლა მეტროფე „სოციალისტების" გადმოძახილი ანკესზე არ წამოეგო მიუხედავად იმ დიდი ბენეფიტებისა, რომლებსაც ისინი სიტყვიერათ პირდებოდნენ მათ. თფილისის კავშირებში დღეს 37—40 ათასამდე შეკავშირებული მუშა ითვლება, რომლებსაც სათავეში უდგათ გამოცდილი და კავშირებში დახელოვნებული მუშაკნი, რომლებიც სწორი ხაზით და გადაჭრილ ბრძოლას აწარმოებენ მათ წინაშე დგა, ვინც ცდილობს განხეთქილება, ანარქიის შეტანას მუშათა ორგანიზაციებში, კერძო პირი იქნება ის თუ მთელი ჯგუფი. ამიტომაც იყო, რომ საბჭოს კრებაზე ძველი მომუშავეების კანდიდატების წინააღმდეგ, თავი მოიყარეს იმ მოწინააღმდეგეებმა, რომელთაგან ზოგნი რუსეთის „სოციალ დემოკრატებს" ირქმევენ და ზოგნი ბოლშევიკ ეერებს. მაგრამ საბჭოს უმრავლესობამ კარგათ იცოდა მათი სულის კვეთება, რომლის შედეგი არჩევნებშიც დაგვანახვა. არჩეული იქნენ დიდი უმეტესობა ისევ ძველებით, რის გამო საბჭოს უმრავლესობა დიდი კმაყოფილი დარჩა. არჩეული არიან სეკრეტარიატის წევრებათ: ბლიდის ხელაძე, სიხარულიძე, გიორგაძე, საგინაშვილი კონსტანტინე, კაკაბაძე, ტოფურიძე კოსტა, დომბროვსკინიძე, ეფენტი, შევჩუკი, ჩხარტიშვილი, გოჩიტაშვილი, საფარიანცი, ლენინა. კანდიდატებათ: დარჩია მ., ა. თოდრია, გავრილენკო, ძმანაშვილი, თურქიაშვილი. სარევიზიო კომისიაში: ჯაფარიძე, სემიონოვი, პაპაძე.

დიბოლის წოდა დელეგატების არჩევნები 10 აპრილს მოწვეულ ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირების სიეზდისათვის. არჩეულ იქნენ: შ. აბლოშვილიშვილი, ბახტაძე, კაკაბაძე, ბადრიძე, სალარაშვილი, შევჩუკი. კანდიდატებათ: დარჩია, თოდრია, ეფენტი, ძმანაშვილი. ასე დასრულდა სეკრეტარიატის ახალი არჩევნები. ვუსურვებთ ახლად არჩეულ ამხანაგებს ენერგიით და დაჟინებით მუშაობას.

ა. თანიულისძე.

პროვინცია

ს. ანაგა (სიღ. მაზ.). თუმცა კარგა ხნის საქმეა, მაგრამ მის შესახებ არ შეიძლება გაჩუმდე და ორიოდე სიტყვა არ ვსთქვა. ს. ანაგაში არსებობდა სამკითხველო, მაგრამ ძველი რეჟიმის დროს ჟანდარმებმა დაგვიკეტეს იგი, რის შემდეგაც სამკითხველოს ქონება ებარა ამხ. შ. ახმეტელიშვილს. ძველი რეჟიმის დანგრევის შემდეგ შ. ახ—ლმა სამკითხველოს ქონება გადასცა გიორგი ახმეტელიშვილს, რადგან მას იგი იცნობდა, როგორც დემოკრატიის მეგობარს და მუყაითს საერთო საქმეში. როგორც მოგეხსენებათ, სამკითხველოსათვის საჭირო იყო ძველი წიგნების გარდა, ახალი წიგნების შეძენა, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და სხვა. ფული კი არსად იყო რომ ყველა ეს სისრულეში მოგვეყვანა. ამ მიზნისთვის ს. ანაგის თავმოყვარე ლობა მოწყო ახალგაზრდობამ მოეწყო ხუთი დასახელებულ სადგურში დაახლ მიზნისათვის შეგროვებინა ფული, რაც მიენდო ამხ. გ. ახმეტელიშვილს. ხალხი სიხარულით შეხვდა ამ ამბავს, რადგან მათ კარგად იცოდნენ სამკითხველოს მნიშვნელობა. როგორც ამბობენ მას 3 რწმუნებულით შეუსრულებია თავის მოვალეობა. მაგრამ რადგან მას არ შეეძლო საქმის წარმოება სხვადასხვა პირობების გამო, იძულებული შეიქნა მიეტოვებინა საზოგადო საქმე. მას შემდეგ იქნა დაარსებული „ახალგაზრდა მშრომელთა წრე", რომელსაც ევალებოდა სოფლად კულტურის შეტანა. არჩეულ იქნა გამგეობა ხუთი კაცისაგან შემდგარი და სამი კაცისაგან სარევიზიო კომისია. გამგეობის თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა სტეფ. ვასო ჯანიაშვილი. იმ კრებაზედვე ახალგაზრდობამ მოისურვა საღამოს გამართვა და მისი სისრულეში მოყვანა მიანდო გამგეობას. წმინდა შემოსავალი იყო 1 000 მან. ფული როგორც მოგეხსენებათ, უნდა გადასცემოდა წრის მოლარეს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ბ. გ. ჯანიაშვილს მოესურვებია იმ ფულის თითონ შენახვა და რომლისაც ძალით წაერთმევიათ, ოცი თუმანი დაუხარჯია და ვალად უკისრია, ახლა მიჰყავს და მალე ჩაბარებით, მაგრამ ფული დღესაც ჩაუბარებელია.

რას აკეთებს სარევიზიო კომისია? რატომ ყურადღებას არ მიაქცევს ჯანიაშვილს? რატომ არ მოიწვია წესიერი ზოგადი საზოგადო კრება და არ გააცნოს წევრებს საქმის ვითარება. სარევიზიო კომისიას ვთხოვთ გაზეთის საშუალებით შეეხმიანოს წრის ამხანაგებს: ენკენისთვის აქვთ სამკითხველო რატომ არ სწარმოება, სად მიდის და ვის მისდის სამკითხველოსთვის გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები?

ვ. კალატოზა.

ანგარიში

(ამალეთის შემოსავლისა და დახარჯულ ხურჯინის დამხმარე პიათურის კომიტეტისა)

შემოსავალი: წარმოდგენის დადგმით 978 მ., შემოსწირეს ორას-ორასი მანეთი: ალექსანდრე ჯ ყილმა და აკაკი სვანიშვილმა, 150 მან. მ.ბ. გელოვანმა; ას-ასი მანეთი: დ. აბულაძემ, ილ. მახარაძემ, ევ. თოდუამ, პავლე თოფურიამ, ის. ვარაზაშვილმა, ტაბურიამ, პიათურის ქალთა წრემ, ივ. პერსიანიძემ, მ. მაჩულიდი, გოგი ტარასი, გომერ მაგურინოვ; ხუთ ხუთი თუმანი: გ. ანთელიძე, ი. საყვარელიძე, ან. სარჯველაძე, ს. ისაევი, ვლ. კეჟავა, პ. ქაცარავა, ირ. გოდუაძე, ვლ. ნაკაიძე, კ. ზარიძეილი, ბ. პაპავა, ვლ. ტუნტი, პიათურის ბანკი, ი. თევზაძე, ნ. ოთხმეზურის; ილ. ბერიძემ 40 მ., ხარ. ბერიძე 80 მ.; ოცდახუთი მანეთი: ევ. დობორჯგინიძისა, კლ. კაპანაძისა, ნიკ. გაბაშვილი, ალ. დადიანი, ი. ნინუა, ნიკ. ნანეიშვილი, პოლ. აბესაძე, მიხ. თხელიძე, ს. ჯაფარიძე, გ. ხუნდაძე, ალ. გამრეკელი, შეტცა, ს. ლეჟავა, ალ. გრიგოლიაშვილი; ოც-ოცი მანეთი: დ. ღლონტიშვილი, ი. ბერძენიშვილი, გ. სევასტოპულო, ნიკ. ფოკალოპულო, დ. ხაინდრავა, რ. კუხავა, კერძო აფთიაქი, სერ. გელაშვილი, მიხ. ბარათაშვილი; თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი: ბ. კეკელიძე, ე. შარაშიძე, ის. ვაშაძე, გ. ნანეიშვილი, მ. ჩიხლაძე, ვ. ღოლაძის ასული; თითო თუმანი: რ. აბესაძე, ა. მეგრელიძე, სპ. კაკაბაძე, ი. კვერნაძე, ნ. ერაძე, მ. რიჟეშოილი, კ. სარგანიძე, ს. ჯარასიანცი, ნ. კლდიაშვილი, ს. კიკვაძე, ვ. დადეშქელიანი, ი. სულაბერიძე, დ. შეყრილაძე, გ. ვაშაძე, პლ. ბუხნიკაშვილი, კ. ვაშაძე, ა. ვაშაძე, არქ. ბუჯიაშვილი, კ. ფირაძე, ი. ასათიანი, რ. მიქელაძე, ნ. ბიჩაშაძე, პ. ხუციში, ი. ლეჟავა, ვ. ლამბაშიძე, გ. ჩხეიძე, ზ. ძიძიშვილი, თ. გურული, გ. სამხარაძე, ს. ბიწაძე, ლ. ქემხურიძე, ი. გოლუსტოვი, მ. ფურცხვანიძე, მ. სულინი, ბ. კიკვაძე, ს. სიხარულიძე, ი. დეკანოზიშვილი, ს. კაციტაძე, თ. ნემსაძე, ვ. ბარათაშვილი, ვ. ბალათურია, ი. მიქაძე, ნ. ბუჩუკური, ს. წერეთელი; 6 მ. ა. სევასტოპულო; ხუთ ხუთი მანეთი: ს. ჩიქოვანი, ა. მაქაცარია, კ. კორძაია, ნ. ბაკურაძე, ს. ფულავა, ა. ჭინჭარია, ან. ლეჟავა, ს. რურუა, ს. ხარაბაძე, გ. ბარამაძე, იაკ. მიქაძე, ა. გოგორიშვილი, ლ. ძიმისტარაშვილი, ევ. იაკობაშვილი, გ. მესხი, ვლ. ფუტკარაძე, სიმონიანცი, ი. გუმბარიძე, მ. გუმბარიძე; ქ. პიათურის ყოფ. კომისარ ბაქრაძის მიერ შეგროვილი 155 მ., დ. გოგიტაურის პიათურის ხაზინის მოსამ. ახურეებში მოგროვილი 75 მ. სულ 4809 მ.

გასავალი: დახმარება გურიიდან პიათურაში გადმოხვეწილთ: გ. დემურიძის 400 მ, ნატ. კილურაძისას 800 მ., ოლღა ანდღულაძისას 200 მ., კაკილო გორდელაძისას (კალანდარიშვილებისათვის) 200 მ., თამარა დოლიძისას 150 მ., მატრ. ტუბოლაძისას 100 მ., მარო ჩასაძისას 150 მ., ნინა დოლიძისას 150 მ., ბენ. ღლონტის შვილებს 150 მ, ალ. ჯაყელის ობლებს 785 მ. ფოსტის ხარჯები 4 მ. სულ 2589 მ. დარჩა 2220 მ. რომელიც გადაეგზავნა ოზურგეთის მაზრის ერობის გამგეობას დასარიგებლად უპატრონო ოჯახთათვის გურიაში იმ ტერიტორიაზე, რომელიც ოსმალოს ეჭირა.

კომიტეტი უხდის მადლობას სწორედ ყველა შემომწირველთ, პიათურის სცენის მოყვარეთა წრეს წარმოდგენის დადგმისთვის და ყველას, ვინც პირადი შრომით თუ სხვა სახით თავისი წვლილი შეიტანა დაზარალებულ გურულთა დახმარების საქმეში.

კომიტ. თავმჯდომარე ანთელიძე
ხაზინადარი დ. აბულაძე.

წერილი რედ. მიმართ

გაზეთ „ერთობა"-ში (№ 27) მოთავსებული იყო ფოთიდან ჩემ შესახებ კორესპონდენცია, რომელიც სიმართლეს მოკლებულია. როგორც მე, აგრეთვე რამოდენიმე სხვებიც დათხოვნილთა სიაში შეყვანილი მოვხვდით და დისციპლინარულმა სასამართლომ, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდენ კავშირის წარმომადგენლებიც, რკინის გზის სამართველოში, 19 თებერვალს გამოარკვია, რომ მე არავითარ ბრალში საქმეში მონაწილეობა არ მიმიღია და ისევ სამსახურზე დამიშვა. ანალოგიური წერილი როგორც გაზეთ „ერთობა"-ში, ერმ. ცხადაიამ მოათავსა № 6 გაზეთში „თავისუფალი გზა".

რადგანაც ჩემი ვრცელი საბუთიანი პასუხი არ მიიღო ამავე რედაქციამ დაბეჭდვათ პოლემიკის გამოწვევის მიზეზის გამო, მე გამოვიწვევ ერმ. ცხადაიას ხსენებულ გაზეთის საშუალებით სამედიატორო სასამართლოში, რომლის დასკვნა უნდა იქნეს გამოცხადებული გაზეთში. ვისაც ჩემთან 26 წლის სამსახურის განმავლობაში რაიმე საქმე ქონია და შორს-ახლო მიცნობს, ის დარწმუნებული იქნება ვინ და რის მიქმედი ვარ, ხოლოდ ამ წერილით გთხოვთ მომცეთ საშუალება გავფანტო ის აზრები, თუ ვინმეს წერილის მიხედვით ეფიქრა, რომ მე რაიმე ბინძური მოქმედება შემიძლია.

თუ ბ. მე ავალდურეს ამაში ეჭვი ექნება, ისიც იქნება გამოწვეული სამედიატორო სამართალში და ვეთხოვ მის ნამდვილ გვარის დასახელებას.

ფოთის სადგურის უფროსი ივანე ხურაშეიძე.

ცნობები

მეოთხე პოლკში нестроевой рота-ში მსახურობდა ილიკო მაისურაძე, უფროსი უნტერ ოფიცერი, ხელსანი, ზეინკალი და თოფის ოსტატი. ახალციხიდან თებერვლის 5-ში უკან დახევის დროს, ის დაიკარგა უკვალოდ, აქამდის არა სჩანს არც მკვდარი, არც ცოცხალი. სხვადასხვა ცნობებიდან სჩანს, თითქოს იგი წყალში დამხრჩვალიყოს, ხოლოდ დანამდვილებით არც ამის ნანახველი არის. უმორჩილესად ვთხოვ თუ ვინმემ ამ მაისურაძის შესახებ იცის რამე, შემატყობინოთ შემდეგი ადრესით: თფილისი, ორთაჭალის ბაღების დუქანი, მემანქანე ნ. ბერეჟიანი.

განცხადებანი

განცხადება

ბავშვებისა და ქალური შინაგანი ავადმყოფობისა ექიმი ქალი გინო ანდრიას ასული გიორგიანიძე ბილიანოვისა მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით: 9 საათ. 11 საათამდის საღამოთი: 5 საათ. 7 საათამდე. ნაძალადევი—ჩერქეზოვის ქუჩა № 161 (6—6)

ქართული ლატარია

დაუგინებით თავი
ყველაფერს და ყველას!
ერთი კითხვა მწვავე
ახლა ითხოვს შველას.
ჯერ არ დაგვიგვიანდა,
ლატარიის ბედი!
ხელოვნება გვინდა
განათლების სვეტი.
გზა ლოქ ი აქებს,
ჩვენი ქვეყნის სიმართლეს,
ყველა მოქალაქეს,
ყველა ერთგულ ქართველს:
მოგვეშველეთ მალე
ჩვენ გასწევდით გზასა...
სწრაფად დაიცალა,
ბილეთების კასა!
მიყვრს მუდამ ეშმიერი,
ერს სხვა ფიქრით გართულს:
„მიაშველე ერი,
ლატარიას ქართულს".

იყიდება

სახლი ექვსი ოთახით, 75 საჟენი კვადრატი მიწა ტარიელოვის შესახვევი № 9 მოლაპარაკება შეიძლება—გორის ქუჩა № 18 მარიამ ერისთავისა (რკინის გზის სავადმყოფოს ახლო)

დავკარგე

ბაკურაძეების წიგნაკი ბარათი 12 სულისა. სახლის კომიტეტის ბეჭდის № 172. ბარათი გაუქმებულათ ჩაითვალოს

ბიურო მე-6 რაიონულ კოლექტივისა ს. ს. დ. მ. პ. ნოთიანიძისა

სიონის ქუჩაზე

სეილანოვის შესახვევში, დილით დილის 1 საათამდე საღამოს 5—8 საათამდე ტელეფონის № 10 94

ექიმი.

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალისა და სადიასტრო ავადმყოფობის მიღება ყოველდღე საღ. 5—7 საათ. ოლღის ქ. № 41, ტელ. 9—53.

ექიმი

ნ. გ. გეგეჭკორი

სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, კიროჩნოვის ქუჩა №10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელ. 17—68.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სადღეისოდ და არსებული ტკივით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ექიმი

ნ. ლ. ცერიაშვილი

მედიცინის დოქტორი ციურიხის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, საბერთა და ქალურ სნეულებიან ავათმყოფთ დილით 12—2 საათ. ნიკოლოზის ქ. № 7 სამხედრო აფთიაქის გვერდით.

ექიმი ზ. ა. ზაზრაძე.

ვენერიულისა სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამ: ოლღის ქ. № 33.

ექიმი

პ. თ. ცუცქილაშვილის

სამკურნალო კაბინეტი

მიხეილის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე, ფოსტის მახლობლათ შესასვლელი ბელგიის ქუჩიდგან—აფთიაქის პირდაპირ ვენერიული, კანი, ხიფილ. (606 და 914 შეშხაპუნება) შარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათ. (25—12)

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ქირონის ქ. № 49, ანდრეევის ქუჩის კუთხე. ვენერიულ სნეულებათა სპეციალისტი (ძნელი და ხრონიკული სუსუნატი) ხიფილისი და მისი შედეგები, კანის ავათმყოფობანი, „606" და „914" შეშხაპუნება. მამაკაც ავათმყოფების მიღება დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. ქალებს საღამოს 4—5 საათამდე.

ექიმი

ბესარიონი პოპოვი

განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—12 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 13—27.

ექიმი

ბეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ. 14—28.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ. № 41, ტელ. № 14—60.

სამკურნალო კაბინეტი ექიმი

ვ. ნ. გოგიტიძისა

ყოფ. ორდინატორი ვენერ. კლინიკის სამხ. სამედ. აკადემიისა პეტროგრადში. ვენერიული, კანის, ხიფილ. შარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. „606" და „914" შეშხაპუნება. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, კვირა და უქმე დღეების გარდა, საღამოს 4—6 საათამდის. კახეთის ქუჩა, № 11.

დოქტორი

მ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 10—1 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი ქალი

რ. გ. შიუკო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ლენინგრადის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ. № 119, ტელეფონი № 9—36.

ექ. დ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

მედიცინის დოქტორი

ალ. გ. მაჭავარიანი.

იღებს სადიასტრო ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. კვირაობის გარდა. მიხეილის ქუჩა სახლი ადამოვისა № 111. (მე-2 ფლიგელ) ყელის ტელეფონი № 49.

პ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახ. სახლი

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახ. წარ. მართველი წრე.
კვირას, 6 აპრილს ვიქ. გამყრელიძის მონაწილეობით მეორედ წარმოდგენილი იქნება:

ციმბირელი

კომ. 4 მოქ. ა. ცაგარელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი: ს. დუგუბლიძისა, ნინოშვილი, მინდელი, იანქოშვილი; ბ.ბ. ს. როსტომაშვილი, ა. თავდგირიძე, გამყრელიძე, ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, პანკავაძე, ან. შვილი, სალოგიაი.

რეჟისორი *.*

ადგილების ფასი 5 მ.—50 კ-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
შემდეგი წარმოდგენა 13 აპრილს.

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ვლადიმირის ხელმძღვანელობით.
კვირას, 30 აპრილს,

დილით

ფაუსტი

და ვალპურგიის ღამე.

საღამოს

გეიშა

ორშაბათს, 7 აპრილს „ევგენი ონეგინი", სამშაბათს, 8 აპრილს „ტრავიატა", ოთხშაბათს, 9 აპრილს „ბოკაჩიო", ხუთშაბათს, 10 აპრ. „აბესალომ და ეთერი".

საქართველოს სახ. რკინის გზის სასურსათო კომიტეტს

ესაჭიროება გამგე

ნავთლუღის მაღაზიისათვის, სადაც ბევრი იცნობს მაღაზიის ცოდნა და განსაკუთრებით წიგნებიანობას აქვს ცოდნა. მოლაპარაკება შეიძლება დილის 9—3 ს. მისამართი: ელისაბედის ქ. და მუშტაიდის შესახვევის კუთხე № 200. (6—3)

საქართველოს სახ. რკინის გზის სასურსათო კომიტეტი იწვევს პირთ, რომელთაც სურვილი აქვთ და შეუძლიათ მიაწოდონ კომიტეტს სხვადასხვა

პროდუქტები

მოლაპარაკება შეიძლება დილის 9—3 საათამდე. მისამართი ელისაბედის ქუჩა და მუშტაიდის შესახვევის კუთხე № 200. (6—3)

თფილისის მეპურეთა საზოგადოება „პური"

ყიდულობს სხვადასხვა ხარისხის ფქვილს პურისას, სიმინდისას და სხვ. საზოგადოების კანტორა მოთავსებულია ლერმონტოვის ქუჩაზე № 12 (კუზნეცოვის და კუზნეცოვის ყოფილ კანტორაში), ღია დილის 9—3 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა. (3—2)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ
ნ. ნ. ჟორდანიას წიგნი რუსულ ენაზე

„სიტყვები და მოხსენებანი"

(კრებულში მოთავსებულია ყველა სიტყვები და მოხსენებანი წარმოთქმული 1917 წ. 1 მარტიდან—1919 წ. 1 მარტამდე)

ფასი 12 მანეთი. (5—3)

მუშათა საბჭოს

აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს ქ. თფილისის მუშათა საბჭოს ახალ შემადგენლობის წევრებს განაახლონ თავისი ძველი მანდატები.

ძველი მანდატების შეცვლა ახლებზე ხდება სასახლეში მე 18 № ოთახში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ძველი მანდატები ითვლება გაუქმებულად. (3—3)

მიიღება განახლებული რაოდენობით ახალი პარტია ნაცვლის

საბოსტნე თესლეულობისა

თესლეულობის საწყობი „მიწა და შრომა" („земля и трудъ"). ველიამინოვის ქ. № 1, მელიქოვის მაღაზია. (5—3)

[illegible] № 1.